ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 22 ივლისი, 2016 | №172 (7098) | ფასი: 50 თეთრი

„ჯერ ლარმა აღიდგინოს რეპუტაცია და მოსახლეობა გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს“


გვ.6

22 ივლისიდან
ჰენრიკ სენკევიჩი
ჯვაროსნები
ტომი 2
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# გიორგი პაპუაშვილი: „მოსამართლეებს პირადი ცხოვრებით აშანტაჟებენ“


გვ.2

პრეზიდენტი პაპუაშვილს დახმარებას სთავაზობს

## პროკურატურა მზად არის, პაპუაშვილის განცხადებები შეისწავლოს



## „ნარმანიამ ჭამაში ხადურს აჯობა“


გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „მერიამ რესტორნებში 298.725 ლარი დახარჯა“




გვ.5

## „ამერიკა თუ ჩვენი მეგობარია, ნაციონალების მფარველობას უნდა შეეშვას“

## ჯონდი ბაღათურია: „გიულენი აქ ინსტიტუტების დაარსებაში ფულს ტყუილად არ ხარჯავს“


გვ.3

## „იგორ გიორგაძე საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს“


გვ.4


გვ.7

## ლია მუხაშავრია: „ხელისუფლებას აწყობს სახელგატეხილი მოსამართლეები“

## მირიან მირიანაშვილი: „ნაციონალების მტრები ახლა ხმას ნაცმოძრაობას აძლევენ“


გვ.4

„ნაციონალები რევოლუციისთვის ნაცად პოლიტიკურ კომბინაციას გაათამაშებენ“

## ან ჩვენ, ან ისინი


გვ.7

რა გველოდება 8 ოქტომბერს

ISSN 1987-9385



გვ.6

## რუსეთის დუმა ქართული ღვინისა და ბორჯომის იმპორტის აკრძალვას ითხოვს

# გიორგი პაპუაშვილი: „მოსამართლეებს პირადი ცხოვრებით აშანტაჟებენ“

## პრეზიდენტი პაპუაშვილს დახმარებას სთავაზობს

გუშინ, 21 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ცალკეული მოსამართლეების თვალთვალსა და დაშანტაჟებაზე ისაუბრა.

პაპუაშვილის თქმით, მიზანმიმართული ზეწოლა მიმდინარეობს ძირითადად იმ მოსამართლეებზე, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებს განიხილავენ.

– ზეწოლა გამოიხატება მოსამართლეთა ფარულ თვალთვალში, მათი ოჯახის წევრებისა და ნათესავების კომერციული საქმიანობის მიზანმიმართულ შევიწროებაში, დაშანტაჟებაში, რომ მათი ახლო ნათესავები დაკავებულები იქნებიან სხვადასხვა საბაბით და ასევე, მათ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ძირითადად ფალსიფიცირებული, შესაძლოა, გასაჯაროვდეს, – განაცხადა გიორგი პაპუაშვილმა.

მისი თქმით, ყველა ეს ინფორმაცია დაკავშირებულია მაღალი საზოგადო ინტერესის მქონე საქმეებთან, რომლებიც განიხილება ახლა სასამართლოში და მიმართულია იმისკენ, რომ მათ გადაწყვეტილება მიიღონ ან ხელისუფლების სასარგებლოდ, ან მაქსიმალურად გააჭიანურონ ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

– დღეს უფრო დეტალური ინფორმაციის გაჟღერებისგან თავს შევიკავებ, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია მოსამართლეების პირად ცხოვრებასთან, მაგრამ მთავარი ამოცანა დღევანდელი საჯარო განცხადებისა არის ის, რომ მოვახდინოთ პრევენცია, აღვკვეთოთ ის საგანგაშო ფაქტები, რომელთაც ადგილი აქვს, რათა სასამართლოს შეეძლოს ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ კონსტიტუციის, კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, – განაცხადა ბატონმა პაპუაშვილმა.

მან არ დააკონკრეტა, რომელ საქმეებთან დაკავშირებით და კონკრეტულად რომელ მოსამართლეებზე მიმდინარეობს ზეწოლა.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ მზადყოფნა გამოთქვა, ამ საკითხებზე უფრო დეტალურად ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებთან ისაუბროს.

* * *

გიორგი პაპუაშვილის განცხადებას გუშინვე გამოეხმაურნენ ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი.

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს დახმარება შესთავაზა.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ დღეს გააკეთა ძალიან საყურადღებო განცხადება. საქართველოს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ ესაუბრა მას ტელეფონით. პრეზიდენტმა შესთავაზა დახმარება გიორგი პაპუაშვილს, მოიკითხა, არის თუ არა მყისიერი ჩარევის საჭიროება ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაზეც თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამის აუცილებლობა არ არის, – აღნიშნა ანა დოლიძემ.



მისივე თქმით, პაპუაშვილი და მარგველაშვილი შეთანხმდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ამ საკითხთან დაკავშირებით პირისპირ შეხვდებიან.

– ისინი შეთანხმდნენ, რომ ამ თემაზე შედგება პირისპირ საუბარი, რომლის დროსაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პრეზიდენტს ჩააყენებს ამ კონკრეტული განცხადების დეტალებთან დაკავშირებით საქმის კურსში, – განაცხადა ანა დოლიძემ.



მისივე თქმით, ვინაიდან ორივე მათგანი არის უმაღლესი თანამდებობის პირი, მათ შეხვედრამდე დღის წესრიგია შესათანხმებელი. თუმცა, ამ საქმისა და თავმჯდომარის განცხადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ეს შეხვედრა უახლოეს მომავალში შედგება და შეხვედრის შედეგები საზოგადოებას თავის დროზე ეცოდინება.

* * *

### პროკურატურა მზად არის, პაპუაშვილის განცხადებები შეისწავლოს

გიორგი პაპუაშვილი გუშინ გიორგი კვირიკაშვილს დაუკავშირდა.

– დავუკავშირდი გიორგი პაპუაშვილს და შევთავაზე, ყველა ინფორმაცია, რომლებსაც ფლობს, გენერალურ პროკურატურას მიაწოდოს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

– პოლიტიკური შეფასებისგან თავს შევიკავებ, გეტყვით მხოლოდ, რომ ამ განცხადებიდან სულ რაღაც ერთ საათში მე დავუკავშირდი ტელეფონით გიორგი პაპუაშვილს და შევთავაზე, მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რომლებსაც ის ფლობს, გენერალურ პროკურატურას.

მე ასევე ვესაუბრე მთავარ პროკურორს და ისინი მზად არიან, ჩაიბარონ ჩვენება. კარგი იქნება, თუ ყველა ის ადამიანი, რომლებსაც ამ კუთხით რაიმე სახის ჩივილი გააჩნიათ, მიმართავს პროკურატურას, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

* * *

გუშინ მთავარმა პროკურატურამ გიორგი პაპუაშვილს მიმართა, მისთვის სასურველ დროს პროკურატურაში გამოცხადდეს.

– 2016 წლის 21 ივლისს საქართველოს პროკურატურამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს გაუგზავნა შეტყობინება მისთვის სასურველ დროს პროკურატურაში გამოცხადების შესახებ, მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლის განხორციელების ფაქტებზე, მის მიერ გაკეთებული განცხადებების ირგვლივ დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

გიორგი პაპუაშვილის მიერ დეტალური ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურა მოახდენს შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაციები მზადყოფნას გამოთქვამენ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილსა და სხვა დაინტერესებულ მოსამართლეებს შეხვდნენ, რათა გავრცელებული ფაქტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ.

ამის შესახებ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა:

– ძალიან საგანგაშოა, თუ მსგავსი ფაქტები ხდება, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საუბრობს. მე ვიცი, უკვე იყო მზაობა, რომ გიორგი პაპუაშვილი შეხვდეს უმაღლესი თანამდებობის პირებს და მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება სწრაფად შედგეს ეს შეხვედრა.

ჩვენი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვხატავთ ინტერესს, რომ დახურულ ფორმატში შეხვედრა გაიმართოს გიორგი პაპუაშვილთან და სხვა დაინტერესებულ მოსამართლეებთან, რომ აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაცია მივიღოთ, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა და დასძინა, რომ პაპუაშვილის განცხადებით სამართალდამცველი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ.

# ეკა გიგაური: „პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟი უნდა დასრულდეს“




– ამ ქვეყანაში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟი უნდა დასრულდეს! – ასე ეხმაურება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავმჯდომარე ეკა გიგაური საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლა და შანტაჟი მიმდინარეობს.

**ეკა გიგაური:**

– ეს არის აღმაშფოთებელი, რომ დღეს საქართველოში მოსამართლეები და მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები საუბრობენ შანტაჟზე და ზეწოლაზე.

მე ვფიქრობ, ამ ქვეყანაში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟი უნდა დასრულდეს და არ დასრულდება, თუკი არ იქნება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალიან მკაცრი რეაგირება.

გასული პერიოდის განმავლობაში ძალიან ბევრ ფაქტს ჰქონდა ადგილი და არავინ დასჯილა. ზუსტად ამიტომ ხდება ეს ყველაფერი და საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საუბარია ზეწოლაზე და თავდასხმაზე. იყო შემთხვევები, როცა საჯაროდ ხდებოდა მათზე თავდასხმები. ეს მიუღებელია.

**ინტერპრესნიუსი**

# თამარ კორძაია: „გიორგი პაპუაშვილის განცხადება საგანგაშოა“



რესპუბლიკური პარტიის წევრი თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება საგანგაშოა. ასე აფასებს კორძაია გიორგი პაპუაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოსამართლეებზე ზეწოლა და შანტაჟი ხორციელდება.

**თამარ კორძაია:**

– ეს არის საგანგაშო. უკვე რეაგირება დაწყებული უნდა იყოს. მთავარი პროკურორი არ ვარ და არ ვიცი, რა რეაგირება ექნება ამაზე ხელისუფლებას, თუმცა თუ სათანადო რეაგირება არ იქნება, აუცილებლად უნდა ამოვიღოთ ამაზე ხმა, – განაცხადა კორძაიამ.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ცალკეული მოსამართლეების თვალთვალსა და დაშანტაჟებაზე საუბრობს. პაპუაშვილის თქმით, მიზანმიმართული ზეწოლა მიმდინარეობს, ძირითადად, იმ მოსამართლეებზე, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებს განიხილავენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ზურაბ ჭიაბერაშვილი: „სასამართლო ნულიდან უნდა შეიქმნას“




– ქვეყნისთვის სავალალოა, როდესაც სასამართლო სისტემა სრულიად მორღვეულია ბიძინა ივანიშვილის მიერ, – აღნიშნა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას.

როგორც ჭიაბერაშვილმა განმარტა, საკონსტიტუციო სასამართლო ბოლო ბარიერია იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილმა საბოლოოდ ჩაიგდოს ხელში ტელეკომპანია რუსთავი 2. ჭიაბერაშვილი დარწმუნებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლის მცდელობა და თვალთვალი რუსთავი 2-ის საქმეს უკავშირდება.

**ზურაბ ჭიაბერაშვილი:**

– საკონსტიტუციო სასამართლოს თითოეულ მოსამართლეს მართლაც ძალიან ისტორიული პასუხისმგებლობა აკისრია. ჩვენ ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მთელი ამ თვეებისა და წლების განმავლობაში თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები არაერთხელ გახდნენ ღია შეტევის მსხვერპლნი.

მათ სახლებთან ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ დაქირავებული ადამიანები აწყობდნენ შეტევებს, კვერცხების სროლას და ისინი ამ პირობებში ცხოვრობდნენ.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემის სრულად მორღვევა ქვეყნის რეპუტაციას საზღვრებს გარეთ მძიმე შედეგს მოუტანს.

– ზოგადად, ქვეყნისთვის სავალალოა, როდესაც სასამართლო სისტემა სრულად მორღვეულია ბიძინა ივანიშვილის მიერ და ამას პირდაპირი ზეგავლენა აქვს როგორც ადგილზე ჩვენს წინასაარჩევნო გარემოზე, ისე ქვეყნის რეპუტაციაზე საზღვრებს გარეთ, ამიტომ, ბუნებრივია, ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

ეს ყველაფერი დასრულდება 8 ოქტომბერს, როდესაც ქართველი ამომრჩეველი ბიძინა ივანიშვილს გაისტუმრებს პოლიტიკურ წარსულში და ჩვენ მოგვიწევს ყველა სისტემის თავიდან აწყობა, დალაგება, მათ შორის სასამართლო სისტემისაც. ნულიდან უნდა შეიქმნას სასამართლო, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა ბიძინა ივანიშვილმა, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჯონდი ბაღათურია: „გიულენი აქ ინსტიტუტების დაარსებაში ფულს ტყუილად არ ხარჯავს“

ნონა ცაბაძე

თურქეთში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქართული დასის ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** ეხმიანება.

***– თურქეთში ბევრი სასწავლებელი დაიხურა, ბევრი მასწავლებელი გათავისუფლდა სამსახურებიდან და ამბობენ, რომ თურქეთი ყველა იმ ქვეყანაზე განახორციელებს ზეწოლას, სადაც გიულენის მიერ დაარსებული სასწავლო ცენტრები არსებობს. რა ხდება ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში?***

– არა, თურქეთი ზეწოლას ვერ განახორციელებს, მაგრამ, თუ თურქეთის ხელისუფლება ინფორმაციულად მოგვამარაგებს ფეთჰულა გიულენის სკოლების რეალური ფუნქციის შესახებ და საზოგადოებასა და ხელისუფლებასაც აუხსნის, ეს კარგი იქნება. მე ამას მივესალმები. მივესალმები გენერალური კონსულის გულახდილობასაც.

***– ეს ყველაფერი ხომ არ არის გაზვიადებული?***

– ცოტა მკვეთრად არის ნათქვამი, შეიძლება, დიპლომატის უჩვეულო კონტექსტშია ნათქვამი. გენერალური კონსული იმას კი არ გულისხმობდა, რომ აქ პირდაპირ ტერორისტებს ამზადებენ, აქ ამზადებენ ახალგაზრდების ტვინებსა და ფსიქოლოგიას, რომ სამომავლოდ ის ადვილი გადასაბირებელი იყოს, როგორც ტერორისტი. საუბარია იდეოლოგიურ მოწამვლაზე, რადიკალიზაციაზე. ამის შესახებ განაცხადა კონსულმა.

***– ჰქონდა საფუძველი ასეთ განცხადებებს?***

– ამას რომ საფუძველი აქვს, ეს თავისთავად ცხადია. სირიაში საკმაოდ ბევრი ქართველი იბრძვის. სწორედ საქართველოში მოხდა მათი გონების, მათი ფსიქოლოგიის მოწამვლა.

***– საკმაოდ პრესტიჟული სკოლები და უნივერსიტეტები დასახელდა, ძვირადღირებული, ასე ვთქვათ, ელიტა რომ სწავლობს. ამ ხალხს ინფორმაცია არ აქვს? ასე ბრმად მიჰყავთ შვილები ამ თურქულ სასწავლებლებში?***

– გიულენი და მისი ორგანიზაცია ქსელური სტილის ორგანიზაციაა. ყველა ქვეყანაში მუდმივად ქმნიან ქსელებს. ასეთივე ქსელი აქვს მას შექმნილი თურქეთში, საქართველოში, ასეთივე აქვს შეერთებულ შტატებში და ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც ხდება მათი იდეოლოგიის გავრცელება. ეს სწორედ ელიტასთან კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა მათთვის. მერე ამ ელიტის გამოყენება ხდება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებისათვის. დააკვირდით, თურქეთში რა სივრცეს შეუტიეს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა.

***– რა სივრცეს?***

– სამხედროებსა და განათლების სისტემას. 40 ათასამდე პედაგოგი და უმაღლესი სასწავლებლის პროფესორია დათხოვნილი სამსახურიდან. თქვენ წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა ციფრია?! ეს სულ გიულენის საშუალებით შექმნილი ქსელია. თუ ასეთი ქსელის შექმნით გიულენმა თურქეთში, ასეთ ძლიერ სახელმწიფოში მოახერხა წყლის ამღვრევა, მაშინ საქართველოში ამ ქსელის არსებობით არ უნდა ინტერესდებოდნენ სპეცსამსახურები?!



ამაზე რამდენი წელია ვლაპარაკობ. 2012 წელს სააკაშვილი ამიტომ გაიქცა პარლამენტის დარბაზიდან და სწორედ ამიტომ მოაწყო ისტერიკა. მე მაშინ იგივე ვთქვი და დოკუმენტები წარმოვადგინე! ზუსტად ეს ინფორმაცია გავაჟღერე პარლამენტში, როცა ის გამწარებული გავარდა პარლამენტის დარბაზიდან.

***– რატომ დაუკავშირეს ეს სასწავლებლები სააკაშვილსა და გიული ალასანიას?***

– ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები როცა ქვეყანაში შედიან, უკავშირდებიან პოლიტიკურ ელიტას. იგივე სტილი განახორციელეს საქართველოშიც, პრეზიდენტის დედას მიაგნეს და სახელმწიფოს სუსტი წერტილი უპოვეს – კორუმპირებული პრეზიდენტის კორუმპირებული დედა. მისი საშუალებით მათ აქ შექმნეს ქსელი. შავი ზღვის უნივერსიტეტის დამფუძნებლებში შეიყვანეს გიული ალასანია და დანიშნეს პრორექტორად.

შესაბამისად, გიული ალასანია გახდა მათი პოლიტიკური გიდი და ლობისტი საქართველოში იმისთვის, რომ თავისი ქსელური სისტემა შეექმნათ. მათ დააარსეს ფინანსური კომპანია ჩაღლარი და ამ კომპანიის საშუალებით შეიქმნა ზუსტად 18 დაწესებულება, საბავშვო ბაღებიდან დაწყებული, უმაღლესი უნივერსიტეტებით დამთავრებული.

***– ამ განცხადებებმა საქართველოში სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია. ითქვა, რომ ეს უსაფუძვლო განცხადებები და ცილისწამებაა.***

– დიახ, ჩემი განცხადებების შემდეგ ძალიან სერიოზული შემოტევა იყო ამ ჩაღლარის სკოლის მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან. მე არასდროს მითქვამს, რომ ამ სასწავლებლებში ტერორისტებს ამზადებენ, მე ვამბობ, რომ თურქეთის გენერალური კონსულის განცხადებას შესწავლა სჭირდება.

მე ვფიქრობ, რომ ისლამის ცნობილი მქადაგებელი და ისლამის ახალი მიმდინარეობის შემქმნელი გიულენი აქ საბავშვო ბაღების, სკოლებისა და ინსტიტუტების დაარსებაში ფულს ტყუილად არ ხარჯავს. საქართველოს სკოლებში მართლმადიდებლობის ქადაგება და კუთხეების მოწყობა აიკრძალა და რატომ ეძლევა საშუალება ისლამის ცნობილ მქადაგებელ ფეთჰულა გიულენს, რომ აქ ისლამის თავისებური ვერსია ასწავლოს?! რატომ აქვს ამ კაცს ასეთი პრივილეგიები?! ეს არ არის გასარკვევი?!

ბათუმში რომ შაჰინის სახელობის სკოლა აქვს მოწყობილი, მე მინდა ვიკითხო, ჩვენ რომ მას გიორგი სააკაძის სახელობის სკოლა გავუხსნათ ან ილია ჭავჭავაძის, როგორ მოეწონებათ? გაგვახსნევინებენ თურქეთში ასეთ სკოლებს?! ძალიან დამაფიქრებელია ის, რაც თურქეთში ხდება.

***– ერდოღანმა სიტუაცია სათავისოდ გამოიყენა და ყველა ოპოზიციონერსა და მოწინააღმდეგეს იშორებს.***

– რატომ ნახა ამდენი მოწინააღმდეგე მაინცდამაინც განათლების სისტემაში?! მე ერდოღანის მიმართ ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი, მაგრამ ის სერიოზული ლიდერია თავისი სახელმწიფოსი. შეიძლება გამოიგონო სამხედრო გადატრიალება და 40 ათასი კაცი მისცე პასუხისგებაში?! შეიძლება, ასეთი რამ ხდებოდეს?!

***– ჩვენი ხელისუფლების პოზიციაზე რას იტყოდით? როგორი უნდა იყოს ის?***

– ხელისუფლების პოზიცია იქნება ისეთი, როგორი სიგნალი და რეკომენდაციაც მოუვათ შეერთებული შტატების საელჩოდან. ნახეთ, თუ არ გაამწვავონ ამათ სიტუაცია თურქეთთან, იმიტომ, რომ ამერიკასთან მწვავდება თურქეთის ურთიერთობები. ამიერიდან ამერიკელებისა და ერდოღანის ურთიერთობები აღარ დალაგდება.

# „ნარმანიამ ჭამაში ხადურს აჯობა“

## ლევან ხაბეიშვილი: „მერიამ რესტორნებში 298.725 ლარი დახარჯა“

შორენა მარსაგიშვილი

ქართველი ჩინოსნების საარაკო მადაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. უმადობას არც მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები უჩივიან. სამოქალაქო პლატფორმა „ახალმა საქართველომ“ ჩაატარა კვლევა, საიდანაც დადგინდა, რომ მიმდინარე წელს დედაქალაქის მერიამ და სამინისტროებმა რესტორნებში სოლიდური თანხები დახარჯეს.

– „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდეც და მოსვლის შემდეგაც ოპონენტებისთვის ლუკმების დათვლით იყო დაკავებული. სააკაშვილის მიერ დალეულ ჩაიზე ერთი ამბავი ჰქონდათ ატეხილი, მაშინ როცა თავად ასეულობით ათასებს ხარჯავენ ქეიფსა და დროსტარებაში, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა.

მისი განმარტებით, „ახალმა საქართველომ“ 5 სამინისტროსა და დედაქალაქის მერიის მადიანობა შეისწავლა. ყველაზე დიდი მადა დედაქალაქის მერიას აღმოაჩნდა.

– ამ ქვეყანაში ყველაზე ცუდად დედაქალაქის მერია მუშაობს. ნარმანიამ და მისმა უწყებამ ვერაფერში ივარგეს. დავით ნარმანიამ და მისმა უწყებამ თავი მხოლოდ პრემიების გამოწერაში გამოიჩინეს. საწვავის ხარჯვის მხრივაც წარმატებულნი არიან. ახლახან აღმოვაჩინეთ, რომ მათ მადაც სერიოზული ჰქონიათ. მერიაში მისულ გაჭირვებულ ადამიანებს უარით ისტუმრებენ, ბიუჯეტში ფული არ არის, ვერ დაგეხმარებითო, სამაგიეროდ, დროსტარებაში არიან ხელგაშლილები, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მარტო მიმდინარე წელს მერიის წარმომადგენლებმა რესტორანში 110-ჯერ იქეიფეს. თბილისელებს







მათი თითო ნადიმი 2.000 ლარზე მეტი დაუჯდათ.

– მხოლოდ 2016 წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან რესტორნებში გადახდილმა თანხამ 298.725 ლარი შეადგინა. ჯამში, 110 ხელშეკრულება გაფორმდა მომსახურებისთვის და საშუალოდ ერთ შეკვეთაზე 2.715 ლარს ხარჯავდნენ. წლის ბოლოსთვის ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება. წინ არის თბილისობა, ახალი წელი. სადღაც ნახევარ მილიონამდე ავლენ, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

დედაქალაქის მერიას არც ეკონომიკის სამინისტრო ჩამორჩა. ისინი წელს რესტორანში საქეიფოდ 84-ჯერ წავიდნენ.

– ეკონომიკის სამინისტრო არ არის გადაწყვეტილებების მიმღები უწყება და, შესაბამისად, უპორტფელო სამინისტროდ ითვლება. ამ უპორტფელო სამინისტროში ქეიფი და დროსტარება მაგრად ჰყვარებიათ. მიმდინარე წელს მათ რესტორნებში 163.443 ლარი დახარჯეს. კვლევისას გამოირკვა, რომ საშუალოდ სამინისტროს ერთი ვიზიტი რესტორანში 1.945 ლარი გვიჯდება, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

შედარებით პატარა მადა აღმოაჩნდათ განათლების, სოფლის მეურნეობის, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებს.

– თავიდან ამ მიმართულებით ყველაზე მადიანი ფინანსთა სამინისტრო იყო. თონეში შემწვარი ციკნის ამბავიც ყველამ იცის. იმდენი ეძახეს ხადურს, ჭამე, ნოდარიო, რომ კაცი სერიოზულ დიეტაზე გადავიდა, იმდენად სერიოზულ დიეტაზე, რომ მიმდინარე წელს მისმა უწყებამ რესტორნებში მხოლოდ 9.758 ლარი დახარჯა. ნარმანიამ ხადურს ჭამაში აჯობა, – ამბობს ხაბეიშვილი.

განათლების სამინისტრომ მიმდინარე წელს ქეიფში 33.152 ლარი დახარჯა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ – 24.139 ლარი, ხოლო იუსტიციამ – 23.039 ლარი.

„ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, მხოლოდ 5-მა სამინისტრომ და დედაქალაქის მერიამ რესტორნებში, ჯამში, 552.256 ლარი დახარჯეს. საშუალოდ თანამდებობის პირების ერთი ვიზიტი რესტორანში ბიუჯეტს 2.116 ლარი უჯდება.

საინტერესოა, თუ რას ჭამენ ჩვენი ჩინოსნები. როგორც ლევან ხაბეიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, მათ, დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ მერიისა და განათლების სამინისტროს მენიუები მოიპოვეს.

– ეტყობა, ყველაზე ღარიბია მათი მენიუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გასაჯაროებას მოერიდებოდნენ, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მერიის თანამშრომლებს შემდეგი კერძები ჰყვარებიათ:

ელარჯის ბურთულები ნუშის ბაჟეთი, სულგუნი ბოსტნეულის სატენით, მოცარელასა და ჩერის პომიდვრის სატე, ორაგულის კანაპე, შემწვარი ქოდფიში ნიახურის პიურეზე ტარხუნით, შემწვარი მწყრის ბარკალი კენკრის სოუსით, ქათმის სატე წითელი აჯიკის სოუსით, კამეჩის მაწვნის პანაკოტა, ფეიხოას ტირამისუ და შოკოლადის ბაღი.

განათლების სამინისტროს მოქეიფე ბიჭები უფრო ეროვნულ კერძებს ეტრფიან.

აი, რას ჭამენ ქვეყნის განმანათლებლები:

პურის კალათა (შოთი, თეთრი და შავი), მჭადი, კიტრისა და პომიდვრის სალათი, ფხალეულის ასორტი, ყველის ასორტი, შემწვარი წიწილა ტაბაკა, ქათმის სალათა, საქონლის სუკის სალათი, ტყემალი, პომიდვრის საწებელი, იმერული ხაჭაპური, ქათამი წითელ ღვინოში, ღორის მწვადი, შემწვარი კარტოფილი, დაჭრილი სეზონური ხილი, ნამცხვრის ასორტი, გამაგრილებელი სასმელები, ბორჯომის წყალი, ბორჯომი გაზიანი, ზედაზენის ლიმონათი, ჩაი და ყავა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „იგორ გიორგაძე საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს“

ნონა ცაბაძე

აპირებს თუ არა იგორ გიორგაძე საქართველოში დაბრუნებას? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ იგორ გიორგაძის ადვოკატ **გაგი მოსიაშვილს** ესაუბრა.

***– თუკი იგორ გიორგაძე საქართველოში დაბრუნდება, შესაძლოა, ის დააკავონ?***

– საქართველოში იგორ გიორგაძის მიმართ შიდა ეროვნული სამართლებრივი პროცედურები შეწყვეტილი არ არის და, მისი ჩამოსვლის შემთხვევაში, სამართალდამცავი უწყებები შესაბამის რეაგირებას მოახდენენ.

სანამ სასამართლოს მიერ არ იქნება განხილული ობიექტურად და სამართლიანად საქმე, ვფიქრობ, იგორ გიორგაძის ჩამოსვლა საქართველოში არ იქნება მიზანშეწონილი, თუნდაც დაცვის მხარის სტრატეგიიდან გამომდინარე. კანონმდებლობა იძლევა საშუალებას, რომ ძებნილი პირის მიმართ საქმის განხილვა მის დაუსწრებლად განხორციელდეს.

***– გაქვთ იმედი, რომ სასამართლო მას გაამართლებს?***



– ობიექტური და სამართლიანი სასამართლო განხილვების შემთხვევაში, ის გამართლდება. იგორ გიორგაძის მიმართ არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი. ის ამჟამად ბრალდებულის მაღალი სტატუსის მქონე პირია. შესაბამისად, სასამართლო გამოძიების პროცესში უნდა დადასტურდეს ან უარყოფილი იქნეს ის ბრალი, რომელიც მას წარდგენილი აქვს. თუ სამართლიანი განხილვები მოხდება, იგორ გიორგაძის უდანაშაულობის დადასტურება გარანტირებულია.

***– რატომ მიიღო ინტერპოლმა გადაწყვეტილება მისი წითელი ცირკულარიდან მოხსნის თაობაზე?***

– საქმეში არსებული პოლიტიკური მოტივების გამო. საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციის მესამე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია რესურსის გამოყენება პირის მიმართ, რომელიც პოლიტიკური მოტივით იძებნება. ვინაიდან ჩვენ დავინახეთ, რომ სახეზეა პოლიტიკური დევნა და დისკრიმინაცია, გადავწყვიტეთ, მიგვემართა ინტერპოლისთვის და მოგვეთხოვა წითელი ცირკულარით ძებნის შეწყვეტა.

რაც შეეხება იგორ გიორგაძისთვის პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭებას, მას მსგავსი სტატუსი არ გააჩნია.

***– ეს პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი.***

– იგორ გიორგაძეს არ აქვს მინიჭებული დევნილის სტატუსი. რაც შეეხება ლტოლვილის სტატუსს, რაც პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული, ესეც არ შეესაბამება სიმართლეს. მე არა მგონია, ინტერპოლი მხოლოდ დაცვის მხარის ინფორმაციას დაყრდნობოდა. მის მიერ მოწერილ განცხადებაში ნათქვამია, რომ საფუძვლიანად შეისწავლა ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ჩვენ მიერ იქნა წარდგენილი. ჩვენთვის უცნობია, პროკურატურას რაიმე სახის კომუნიკაცია ჰქონდა თუ არა.

***– პროკურატურა აცხადებს, რომ ყველა ღონეს მიმართავს, რათა იგორ გიორგაძის მიმართ აღდგეს წითელი ცირკულარით ძებნა. ამაზე რას იტყვით?***

– ამ ეტაპზე ფიზიკურად შეუძლებელია, რომ პროკურატურამ განახორციელოს რაიმე ქმედება, რომლითაც იგორ გიორგაძეს მიენიჭება ძებნილის სტატუსი. ჯერჯერობით ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ სასამართლოს განაჩენი არ გამოუტანია, თუმცა, ამის მიუხედავად, ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. ჩვენ აღნიშნულ ფაქტებზე აუცილებლად მოვახდენთ რეაგირებას და მას სამართლებრივ მსვლელობას მივცემთ.

# მირიან მირიანაშვილი: „ნაციონალების მტრები ახლა ხმას ნაცმოძრაობას აძლევენ“

## „ნაციონალები რევოლუციისთვის ნაცად პოლიტიკურ კომბინაციას გაათამაშებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი მირიან მირიანაშვილი „ახალი თაობისათვის“ მიცემულ ინტერვიუში საუბრობს ნაციონალური მოძრაობის ანტისახელმწიფოებრივ გეგმებზე.

**მირიან მირიანაშვილი:**

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეინკარნაცია და პოლიტიკური რევანშისთვის მზადება გრძელდება. ასევე გრძელდება ხელისუფლების უმოქმედობა.

***– ბევრი მიიჩნევს, რომ ნაციონალები თავიანთ პოსტსაარჩევნო რევოლუციურ გეგმებს სისრულეში ვერ მოიყვანენ.***

– ვინც ამბობს, რომ ნაცმოძრაობას ხალხი მხარს არ უჭერს, ის ადამიანებს ქუჩაში ვერ გამოიყვანს და ამიტომ არაფერი გამოუვა, ცდება. სააკაშვილი თავისი გარემოცვის დახმარებით ახლაც გაითამაშებს ნაცად პოლიტიკურ კომბინაციას. ეს კომბინაცია-გარიგება მან 2003 წელსაც აამოქმედა.

***– რა გარიგებაზე საუბრობთ?***

– მაშინ ნაცმოძრაობის ლიდერებმა გარკვეული კონტრაქტი დაუდეს დაბალი და საშუალო რანგის ჩინოსნებს. მათ სამომავლოდ შეჰპირდნენ თანამდებობებს გარკვეული დავალებების შესრულების სანაცვლოდ. მაგალითად, ამა თუ იმ შენობის ბლოკირებისა და პიკეტისათვის მათ ადამიანების ჯგუფი უნდა შეეკრიბათ. ვაკის რაიონის გამგეობის ბლოკირება მოახდინეს ასეთმა გარიგებულმა მოხელეებმა. ამ ყველაფრის ორგანიზება კი ნაცმოძრაობის ვაკის ორგანიზაციამ ითავა. 2003 წელს მიმდინარე აქციები ასე იმართებოდა, უფრო სწორად, ძირითადი ღონისძიებების ბირთვს ნაცმოძრაობასთან გარიგებული ჩინოსნები და მათ მიერ შეკრებილი ხალხი წარმოადგენდა.

***– მაშინ რეგიონებიდანაც ხომ ჩამოიყვანეს ხალხი?***

– დიახ, ბოლოს დაქირავებული ადამიანებიც ჩამოიყვანეს, მაგრამ იმდროინდელი მოვლენების ბირთვს გარიგებული ჩინოსნები წარმოადგენდნენ. მაშინ ნაციონალები დაახლოებით 11 ათას ადამიანს შეჰპირდნენ სკამს. ვარდების რევოლუცია ასეთი კომბინაციით მოახდინეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ გადატრიალებას, ხელისუფლებაში მოსვლასა და 2003 წლის მოვლენების გამეორებას არ სჭირდება ხალხის მხარდაჭერა. ამ მეთოდებს ნაცმოძრაობა ახლაც გამოიყენებს.

ნაცმოძრაობა რომ არ გაჩერდებოდა, ყოველთვის ვამბობდი. მაშინ ზოგი თეთრ ყვავად მთვლიდა. ამ კომბინაციას პირველად ვასაჯაროებ. 2003 წელს ქუჩაში სულაც არ იყვნენ სააკაშვილის იდეური მომხრეები. ასეთები მას თითქმის არ ჰყავდა. მომხრეების უქონლობა ახლაც არ შეუშლის ხელს გეგმების განხორციელებაში. ასე რომ, ნაციონალების მთავარი კოზირი ეს ნაცადი კომბინაციაა და არა დიდი ფული და საერთაშორისო მხარდაჭერა.

***– ხელისუფლება რას აკეთებს ამ დროს?***

– იმ დროს, როცა პოლიტიკური ცუნამი შეიძლება კაბინეტში დაიგეგმოს, როცა გადატრიალება მზადდება, ხელისუფლება არაფერს აკეთებს. „ქართული ოცნება“, თავის წარმოდგენაში, ამზადებს ევროპულ არჩევნებს. ხელისუფლება, ჯერ ერთი, ვერ გრძნობს, რომ რეიტინგი დაუვარდა, და მეორე, ის ევროპული ტიპის ოპონენტად აღიქვამს ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც წესების გარეშე თამაშობს.

***– საარჩევნო თემაზე გამოსვლების გარდა, პიკეტებსაც უნდა ველოდეთ?***

– დიახ. მომავალი არჩევნების შესახებ ნაციონალურ მოძრაობას დიდი ხანია გაშლილი აქვს პროპაგანდა. მიდის საზოგადოებისა და უცხოელი კოლეგების დარწმუნება იმაში, რომ ივანიშვილი აყალბებს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს.

***– აჭარაშიც გაძლიერდნენ ნაციონალები?***

– დიახ. სხვათა შორის, აჭარაში უფრო ძლიერად გამოჩნდა ერთი ტენდენცია, რომელიც მე თბილისშიც შემიმჩნევია. ნაცმოძრაობაზე ცოტა ხნის წინ გადამტერებული ადამიანები ახლა აცხადებენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ დასაჯა ნაციონალი დამნაშავეები, არ გაამართლა იმედები, ამიტომ ახლა ხმას ნაცმოძრაობას მისცემენ.



***– ნაცმოძრაობაზე გადამტერებული ხალხი ხმას ნაცმოძრაობას აძლევს?***

– დიახ. ამის ახსნა ძნელია, შეიძლება, ამის განმარტება ფსიქიატრიის სფეროს მიეკუთვნებოდეს, მაგრამ ხალხს ვხვდები და ზუსტად ვიცი, რომ ასეთი ტენდენცია არსებობს.

***– პაატა ბურჭულაძის დაკვეთით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, ნაცმოძრაობა პირველ ადგილზეა.***

– ბურჭულაძის კავშირი ნაცმოძრაობასთან ყოველთვის თვალსაჩინო იყო. მას თავიდანვე უწოდეს სატელიტი. ჯერ ბურჭულაძის პარტიის საარჩევნო სია არ გამოქვეყნებულა. ეს სია ბევრ რამეს დაადასტურებს. დარწმუნებული ვარ, ამ სიაში სააკაშვილის მიერ ვიზირებული ხალხი იქნება.

***– სავარაუდო გადატრიალების საწინააღმდეგოდ რა უნდა გაკეთდეს?***

– ხელისუფლებამ უნდა გამოამზეუროს ნაციონალური მოძრაობის კულინარია, უნდა გაასაჯაროოს, რომ არსებობს რევოლუციური სამზადისის გეგმები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს სტაბილურობის წინააღმდეგ. სახელმწიფოს ჰყავს სპეცსამსახურები, რომლებიც, წესით, ამ ყველაფრის საქმის კურსში უნდა იყვნენ. ქმედებები სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ხელისუფლების დამხობა დასჯადია. პოლიტიკაში ოდნავ ჩახედულმა მოქალაქემაც კი იცის, რომ ნაციონალებს სახიფათო გეგმები აქვთ.

# ნინო ბურჯანაძე: „მივმართავ ხელისუფლებას, სასწრაფოდ დახუროს ყველა სასწავლებელი, რომლებიც შესაძლოა გიულენის სახელს უკავშირდებოდეს“

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე საქართველოში არსებული ყველა იმ სასწავლებლის მინიმუმ ერთი წლით დაუყოვნებლივ დახურვას მოითხოვს, რომლებიც შესაძლოა ფეთჰულა გიულენის სახელს უკავშირდებოდეს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, ამის შესახებ განცხადება ნინო ბურჯანაძემ დემოკრატიული მოძრაობის სათავო ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა.

რაც შეეხება იმ მოსწავლეებს, რომლებიც აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლობენ, ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ისინი ხელისუფლებამ სხვადასხვა დაწესებულებაში უნდა გადაანაწილოს.

**ნინო ბურჯანაძე:**

– მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, რომ სასწრაფოდ მიიღოს ზომები და დახუროს ყველა ის სასწავლებელი როგორც აჭარაში, ასევე მთელ საქართველოში, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს გიულენის სახელს. ეს სასწავლებლები უნდა დაიხუროს, უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც გამოიძიებს ამ სასწავლებლებთან დაკავშირებულ საკითხს და ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვევა მათ მიმართ არსებული პრეტენზიის თაობაზე, სასწავლებლებს ლიცენზია უნდა შეუჩერდეს.

ბუნებრივია, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ახალგაზრდები, მათი უფლებებისა და ინტერესების შელახვის გარეშე, გადანაწილდნენ სხვა სასწავლებლებში ისე, რომ მათი სასწავლო პროცესის განხორციელებას ხელი არ შეეშალოს.

მისი თქმით, ის ბრალდებები, რომელიც ისმის ამ სასწავლებლებთან დაკავშირებით, არის ძალიან სერიოზული ბრალდებები და მათი შესწავლა უნდა მოახდინოს უპირველეს ყოვლისა უშიშროების სამინისტრომ და, რა თქმა უნდა, ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს განათლების სამინისტრო.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ამ დღეებში ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლება პრაქტიკულად არ ჰყავს, მიმართვა იმ ადამიანების მისამართით გააკეთა, რომლებიც დროებით, არჩევნებამდე იკავებენ თანამდებობებს.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოსათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მოვლენებს, რომლებიც ვითარდება რეგიონში და მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმ მოვლენებს, რომლებიც ვითარდებოდა და ვითარდება თურქეთში.

– მინდა საგანგებოდ გავუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მე ძალიან კარგად მესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსათვის კეთილმეზობლური, ნორმალური და სტრატეგიული თანამშრომლობა თურქეთთან. ამასთანავე არის ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მაქსიმალურად დაცულ იქნეს საქართველოს ეროვნული ინტერესები.

თურქეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ არაერთგზის განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ გადატრიალების ორგანიზებაში ის ადანაშაულებს ფეთჰულა გიულენს.

რა თქმა უნდა, მე არ შემიძლია ვამტკიცო ან ერთი – დანაშაული ამ ადამიანისა, ან მეორე – უდანაშაულობა. არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ეხება ამ ადამიანის სახელთან დაკავშირებულ სასწავლებლებს, რომლებიც განლაგებულია საქართველოში. მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის წინ თურქეთის გენერალური კონსულის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ამ საკითხთან დაკავშირებით იყო ძალიან სერიოზული მითქმა-მოთქმა, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ გაბედავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. მან ასევე მოიყვანა აზერბაიჯანის მაგალითი, რომელმაც ანალოგიური სასწავლებელი, საკმაოდ პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი, სწორედ ამ მოტივით დახურა.

**ნინო ბურჯანაძე:**

– მე კატეგორიულად მოვითხოვ საქართველოს ხელისუფლებისაგან ჩემს ამ ინიციატივაზე და მიმართვაზე პასუხს, იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება არის უმნიშვნელოვანესი საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველა სასწავლებელი, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს გიულენის სახელს როგორც აჭარაში, ასევე მთელ საქართველოში, მინიმუმ ერთი წლით უნდა დაიხუროს, ვიდრე არ გაირკვევა ამ ორგანიზაციების სრული ინფორმაცია რეალური არსის შესახებ. ამასთანავე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ დაცული უნდა იყოს ამ სასწავლებლების როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა უფლებები.

**ინტერპრესნიუსი**

# „ამერიკა თუ ჩვენი მეგობარია, ნაციონალების მფარველობას უნდა შეეშვას“

## ზვიად ჩიტიშვილი: „აფხაზებისა და ოსებისგან ქართველების სახლების გამოსყიდვა დავიწყეთ“



რას ითხოვენ ამერიკის საელჩოსგან, ვისი დახმარებით ყიდულობენ აფხაზეთში ქართველების სახლებს, ვინ აკონტროლებს საქართველოს ხელისუფლებას, როდის დაიწყებს ქვეყანა აღმშენებლობას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.

**ზვიად ჩიტიშვილი:**

– წინა კვირას „ახალ თაობასთან“ საუბარში დავაანონსეთ, რომ 20 ივლისს ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გავმართეთ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა პოლიტიკურმა პარტიამ საქართველოში ასეთი აქცია გამართა. პოლიტიკოსების ნაწილი ამერიკას ხშირად აკრიტიკებს, მაგრამ ამ საელჩოსთან აქციის გამართვას ვერავინ ბედავს. ჩვენ ეს ტრადიცია დავარღვიეთ და, თუ საჭირო გახდა, კიდევ მოვუწყობთ აქციებს. ბევრი სხვა პარტიისგან განსხვავებით, ჩვენ არცერთ ქვეყანაზე არ ვართ დამოკიდებული და თამამად შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია.

***– არავისზე არ ვართ დამოკიდებულიო და აშშ-ის საელჩოსთან გამართული აქციის გამო პრორუსულ პარტიად გამოგაცხადებენ.***

– მე არასდროს დამიმალავს, რომ ვარ როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მოქალაქე. მე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა მინდა, მაგრამ არ ვამბობ, რომ ჩემი ქვეყანა მოსკოვზე უნდა იყოს დამოკიდებული. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ამდენი სისხლი იმიტომ არ დაგვიღვრია, რომ ვინმეს დაქვემდებარებაში ვიყოთ.

ამერიკის საელჩოსთან გამართული აქცია იყო პროტესტი იმ უსამართლობაზე, რომელიც დღეს ქვეყანაშია. პირდაპირ ვაცხადებ, საქართველოში სამართლიანობის აღდგენას ხელს ამერიკა უშლის. ამერიკელები მფარველობენ დამნაშავე ნაციონალებს და ეს ხელისუფლებაც მათი შიშით ვერაფერს აკეთებს. მთელი რიგი სტრუქტურები ამერიკისგან ფინანსდებიან და, როგორც ამბობენ, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. დამკვეთმა ნაციონალების დასჯა აკრძალა და ესენიც ვერაფერს აკეთებენ. დამნაშავეების დაპატიმრებას ვინ ჩივის, იმასაც არ აპროტესტებენ, ნაციონალები მაჟორიტარებად ზონდერებს რომ ასახელებენ.

რამდენიმე კვირის წინ გორის მაჟორიტარ დეპუტატად დაასახელეს ბადრი ბასიშვილი. მის საგმირო საქმეებზე ყველაზე ბევრს ის ხალხი ლაპარაკობდა, რომლებიც ახლა პარლამენტში სხედან. ახლა ამ პიროვნებაზე ხმას არ იღებენ. როცა ამაზე ხმაური ავტეხეთ, გვეგონა, რომ ხელისუფლება რამეს მოიმოქმედებდა. მოხდა უარესი, მათ არც მეორე ზონდერის წარდგენაზე ამოუღიათ ხმა.

***– მეორე ზონდერი ვინ არის?***

– ნაციონალები სულ ზონდერები და კანიბალები არიან. ამ შემთხვევაში პროფესიონალ ზონდერებზე გესაუბრებით. ამ დღეებში ვაზისუბანში მაჟორიტარად ცნობილი ზონდერი გოგა ონიანი დაასახელეს. „ქართულმა ოცნებამ“ ამაზე ხმაც კი არ ამოიღო, თითქოს დამნაშავე რეჟიმის გასამართლებას ხალხს სხვა დაჰპირდა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ სამართლიანობის აღდგენას ხელს ამერიკა უშლის. ამიტომაც მივედით ამ ქვეყნის საელჩოსთან და მოვითხოვეთ, შეეშვან დამნაშავეების დაცვას.

***– თქვენი აზრით, ეს აქცია რაიმე შედეგს გამოიღებს?***

– შედეგი და გამოხმაურება აუცილებლად იქნება. ერთი შედეგი უკვე მივიღეთ. ტელევიზიებს ჩვენ დაბლოკილები ვყავართ, აქციაზე კი თითქმის ყველა მოვიდა. სხვა გზა არც იყო, ასეთი აქცია საქართველოში ჯერ არავის გაუმართავს. მართალია, ამერიკის საელჩოსთან ათასობით ადამიანი არ მიგვიყვანია, მაგრამ, იქ ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ქართველი ხალხი სცემს პატივს და მთავარი ესაა.

წინა კვირაში ნაციონალების გასამართლებისა და აკრძალვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებაც დავიწყეთ. მოვუწოდებ ყველას, ვინც მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს, მობრძანდეს ჩვენს ოფისებში და ხელი მოაწეროს პეტიციას. მე არ ვიცი, რას იზამს ამერიკის საელჩო, მაგრამ, ერთად თუ დავდგებით, მიზანს მივაღწევთ.

ჩვენ ჩვენი მხრიდან აქტიურობას გავაგრძელებთ, მსურველებს შეუძლიათ, შემოგვიერთდნენ. რამდენადაც მე ვიცი, საქართველოში ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა აიკრძალოს.

***– თქვენ თქვით, რომ ამ მიმართულებით აქტიურობას გააგრძელებთ. კიდევ ამერიკის საელჩოსთან ხომ არ აპირებთ აქციის გამართვას?***

– ძალიან საინტერესო გეგმები გვაქვს და მათ შესახებ საზოგადოებას ეტაპობრივად შევატყობინებთ. მომდევნო ღონისძიებას მომავალ კვირაში ვგეგმავთ. ამჯერად აქცია ვარდების მოედანზე გაიმართება. ამერიკის საელჩოს კი კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო, შეეშვას ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევას და, თუ მართლა უნდათ საქართველოს განვითარება, მაშინ სამართლიანობის აღდგენაში ხელს ნუ შეგვიშლიან.

როდესაც ამერიკას ვაკრიტიკებთ, მისი მომხრეები გვსაყვედურობენ, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორზე ასე ნუ ლაპარაკობთო. ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი ამ ქვეყანას მართლა თვლის სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ მეეჭვება, ამერიკაც ასევე ფიქრობდეს.

***– რატომ გგონიათ, რომ ამერიკა საქართველოს თავის სტრატეგიულ პარტნიორად არ აღიქვამს?***

– ამერიკა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, საქართველოს მხოლოდ ტერიტორიად განიხილავს, რომლის გამოყენებითაც შეიძლება რუსეთთან ივაჭრო. ამერიკამ ჩვენი პოლიტიკოსები არაერთხელ გააქეზა და მათაც დაიწყეს რუსეთის ლანძღვა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ მოსკოვს მუქარა დავუწყეთ. ეს ქვეყანა ამხელა სანქციებმა ვერ შეაშინა და ჩვენი განცხადებები დააკლებს რამეს? იმ დროს, როცა ჩვენ მოსკოვთან მოლაპარაკებებს გვიკრძალავენ, თავად მშვენივრად ელაპარაკებიან რუსეთს. დღეს თეთრი სახლი და კრემლი ერთმანეთის მტრებად მოიაზრებიან, ხვალ შესაძლოა ისინი ერთმანეთის სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ.

***– ასეთი ადვილი იქნება მათი დამეგობრება?***

– თურქეთის მაგალითი ცხადყოფს, რომ გუშინდელი მტრები დღეს შესაძლოა სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ. სულ რამდენიმე კვირის წინ მოსკოვი და ანკარა მზად იყვნენ, ერთმანეთისთვის ომი გამოეცხადებინათ. დღეს ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობას იწყებენ. ამერიკასთანაც იგივე რომ მოხდეს, მერე რას ვაკეთებთ? ჩვენ ფეთქებადსაშიშ რეგიონში ვცხოვრობთ და განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკა საქართველოს სტაბილურ ქვეყნად არ განიხილავს. ამიტომაც არის, რომ აქ არცერთი ამერიკული ბრენდი არ შემოსულა.

ეს ქვეყანა თავის მოქალაქეებზე განსაკუთრებულად ზრუნავს. ხელისუფლება ბიზნესმენებს ურჩევს, სად შეუძლიათ ინვესტიციების ჩადება. არასტაბილური ქვეყნები მათთვის მიმზიდველი არ არის. საქართველოც ასეთი ქვეყნების რიცხვში მოხვდა. ჩვენი ხელისუფლება ბევრ ცუდ რამეში ბაძავს ამერიკას და ვურჩევდი, იმაში მიბაძონ, რაც მისაბაძია.

***– მისაბაძი რა არის?***

– თავის მოქალაქეებზე ზრუნვა. ამერიკის მოქალაქეს სადმე რამე რომ შეემთხვეს, ლამის პრეზიდენტის დონეზე წყდება ეს საკითხი. საქართველოს ხელისუფლება კი არასდროს ზრუნავდა თავისი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე. ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარია, სხვა ქვეყნის საელჩო იყოს კმაყოფილი.

საქართველოს ხელისუფლება არც უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე ზრუნავს. მათი უფლებების დაცვაზე არაფერს ვამბობ. იმდენსაც არ აკეთებენ, რომ საზღვარგარეთული ვიზიტებისას იქ მცხოვრებ ქართველებს შეხვდნენ. არადა, ნებისმიერი ქვეყნის პირველი პირი ასე იქცევა, ვიზიტით რომ მიდიან, ჯერ იქ თავიანთ



დიასპორას ხვდებიან, შემდეგ – მასპინძელი ქვეყნის პირველ პირებს. ჩვენებისთვის მთავარი პირველ პირებთან შეხვედრაა.

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია, მაგრამ აგვისტოს ომამდე ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოვში. მათ არასდროს გამოუთქვამთ სურვილი, შეხვედროდნენ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს. იქ 1.200.000 ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ჩვენ ბევრჯერ გვქონია რუსეთში პრობლემები, მაგრამ ხელისუფლებას არასდროს უცდია მათი მოგვარება. რთული მდგომარეობიდან ისევ ჩვენი კონტაქტების დახმარებით გამოვდიოდით. ნაციონალები საერთოდ ისეთ ხალხთან თანამშრომლობდნენ, რომლებიც ქართველებს ვერ იტანენ და ერთი სული აქვთ, იქიდან გამოგვყარონ.

ემიგრანტების მიმართ ასეთი დამოკიდებულება რომ არის, ამიტომაც გაუცივდა ამ ხალხს გული. საქართველოში დაბრუნება არავის აღარ უნდა. ამის გამო ვერავის გაამტყუნებ, აქ სამუშაო არ არის და რატომ უნდა დაბრუნდნენ? სამუშაო ადგილების მოსპობისთვისაც უნდა გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა. მათ შეგნებულად დახურეს ყველაფერი, რომ ხალხს სამუშაო აღარ ჰქონოდა და საქართველოდან გაქცეულიყვნენ, აქ კი სხვები უნდა ჩამოესახლებინათ. ამისთვის აშენებდნენ ლაზიკას.

***– სხვების ჩამოსახლება რაში სჭირდებოდათ?***

– მისცემდნენ მათ საქართველოს მოქალაქეობას და არჩევნებზე მათგან მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდათ. წინა ინტერვიუებში გითხარით, რომ ნაციონალებს თურქები ემუქრებიან, რადგანაც მათგან მიწები იყიდეს და ახალი ხელისუფლება რეგისტრაციას აჭიანურებს. ახლახან ბათუმში ვიყავი და კიდევ უარესი ამბავი გავიგე. ყველამ იცის, რომ სააკაშვილმა 40.000 თურქს მისცა საქართველოს მოქალაქეობა. მათი ნაწილი დღეს აჭარის რეგიონში ცხოვრობს. ამდენ ხალხს იმიტომ დაურიგეს მოქალაქეობა, რომ ბათუმის მერად თურქი უნდა აერჩიათ, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის სახიფათო იქნებოდა.

ისევე, როგორც რუსეთში, თურქეთშიც არიან რეაქციული ძალები. ისინი დღემდე ვერ ეგუებიან იმას, რომ საქართველომ აჭარა დაიბრუნა. ბათუმის მერად რომ ეროვნებით თურქი დამჯდარიყო, ძალიან ცუდი პროცესები დაიწყებოდა. ჩვენ ხშირად გვისაუბრია იმაზე, რომ ამდენი თურქული სასწავლებლის გახსნა არ იყო კარგი საქმე. ჩვენგან ამის მოსმენა არავის უნდოდა. მას შემდეგ, რაც ამ თემაზე განცხადება თურქეთის კონსულმა გააკეთა, ხმა აღარავის ამოუღია.

თურქეთზე ვსაუბრობთ და ერთ საკითხს აუცილებლად უნდა შევეხო. ამ ქვეყანას საქართველოს ტერიტორიები აქვს მიტაცებული, სადაც უამრავი ქართული ეკლესიაა. დღეს არცერთი ეკლესია არ არის მოქმედი. საპატრიარქომაც და საქართველოს ხელისუფლებამაც სთხოვა ანკარას, ერთ ეკლესიაში მაინც დაეშვათ ქართული წირვა-ლოცვა. მათგან უარი მივიღეთ. ამ დროს აჭარაში რამდენიმე თურქული მეჩეთი და სასულიერო სასწავლებელია.

აქ მნიშვნელოვანია ერთი საკითხიც – თურქეთს სომხეთთან ლამის საომარი მდგომარეობა აქვს. ამ დროს თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი სომხური ეკლესიაა, სადაც წირვა-ლოცვა აღევლინება. ახლა მითხარით, როგორ შეიძლება, მეგობარს არ გაუხსნა ეკლესია, მოწინააღმდეგეს კი ამის უფლება მისცე? ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლება უფრო რადიკალური უნდა ყოფილიყო. თურქეთში მილიონობით ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და მათთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბევრმა მათგანმა გამოთქვა სურვილი, მართლმადიდებლად მოინათლოს.

***– ლაზებზე საუბრობთ?***

– ლაზებზე ვსაუბრობ. მათ გამოთქვეს სურვილი, თავიანთ სარწმუნოებას დაუბრუნდნენ. მათთვის მოქმედი ქართული ეკლესია ძლიერი სტიმულის მიმცემი იქნებოდა.

ეკლესია-მონასტრები აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც მისახედია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ იქ ქართული მსახურება აღდგეს. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს.

***– ეს შესაძლებელია?***

– შესაძლებელია. თუ მოინდომებს კაცი, ყველაფერი შესაძლებელია. ჩვენ ასევე სერიოზულად ვმუშაობთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართველების სახლების გამოსყიდვაზე. მას შემდეგ, რაც ქართველებმა ეს ტერიტორიები დატოვეს, მათ ქონებას სხვები დაეპატრონნენ. შემდეგ ეს ქონება გაიყიდა. მყიდველი ასე იოლად არ დათმობს ნაყიდს. ამიტომაც დავიწყეთ გამოსყიდვა.

***– აფხაზები და ოსები ამის უფლებას აძლევენ ქართველებს?***

– ამაში ჩვენი აფხაზი და ოსი მეგობრები გვეხმარებიან. ხვალ შესაძლოა დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ და იქ დაბრუნებულ დევნილებს საკუთარი სახლები უნდა დახვდეთ.

ოსები რადგან ვახსენე, იქ დაგეგმილ რეფერენდუმსაც გავახსენებ ხელისუფლებას. თიბილოვის მთავრობას ეს რეფერენდუმი აგვისტოში უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ჩვენი მეგობარი ოსების დახმარებით ეს ღონისძიება მომავალი წლისთვის გადადეს. ახლა ოსები ჩვენს საპარლამენტო არჩევნებს ელოდებიან და, თუ მათთვის მისაღები ძალა მოვა პარლამენტში, რუსეთთან მიერთებაზე უარს იტყვიან.

***– მათთვის მისაღები ძალა პრორუსულია?***

– მათთვის მისაღები იქნება ის ძალა, რომელიც პროქართული იქნება და არცერთ ქვეყანაზე არ იქნება დამოკიდებული. ნამდვილი დამოუკიდებლობა თუ გვინდა, საქართველოში არცერთი სხვა ქვეყნის ჯარისკაცი არ უნდა იყოს. ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობა მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწყება.




გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ჯერ ლარმა აღიდგინოს რეპუტაცია და მოსახლეობა გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს“

## კობა გვენეტაძის განცხადებას ექსპერტები უარყოფითად აფასებენ

დოლარიზაციის მაღალი დონე ლარის უნდობლობით არის გამოწვეული.

ამის შესახებ ეკონომიკის დოქტორმა ირაკლი მაკალათიამ „ბიზნესპრესნიუსთან“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.



ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოსახლეობა უნდა შეეჩვიოს დოლარის გარეშე ცხოვრებას.

– მაგალითად, დიდი ტრანზაქციების შემთხვევაში, ეს იქნება ავტომობილის გაყიდვა თუ უძრავი ქონების რეალიზაცია, ფასი ლარში უნდა დასახელდეს, – აღნიშნა კობა გვენეტაძემ.

ირაკლი მაკალათია კი ფიქრობს, რომ ჯერ ლარმა უნდა აღიდგინოს რეპუტაცია და მოსახლეობა თვითონ გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს.

– დაპირება, რომ ქვეყანაში დედოლარიზაცია დაიწყება, არასწორია. ინტერვიუში აღნიშნულია, რომ ჩვენი მოსახლეობა დოლარის გარეშე ცხოვრებას უნდა მიეჩვიოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ, მომხმარებლებს, გვადანაშაულებენ იმის გამო, რომ დოლარს მოვიხმართ. ლარზე მოთხოვნა დაბალი იმიტომაა, რომ მისი მიმოქცევის არეალი მცირე მასშტაბისაა, თანაც, დოლარი ხალხში მეტი სანდოობით სარგებლობს და ამის გამო მოსახლეობას ვერ გავამტყუნებთ, – აღნიშნავს ეკონომიკის დოქტორი.

ის ფიქრობს, რომ არსებული ეკონომიკური სიტუაციის ფონზე ეს ნორმალური რეაქციაა.

– როდესაც ადამიანი იგრძნობს, რომ ლარის მიმოქცევის ბაზარი გაიზარდა და ეს სტაბილური ვალუტაა, რატომაც არა, ლარზე თავისთავად გადავა. ამაში არც ეროვნული ბანკის ჩარევა იქნება საჭირო და არც მთავრობისა: მომხმარებლები თვითონ გადაწყვეტენ, რომელი ვალუტა აირჩიონ და არჩევანს ლარის სასარგებლოდ გააკეთებენ, – აცხადებს ირაკლი მაკალათია.

მისი შეფასებით, ეკონომიკა თავად კარნახობს მოსახლეობას ამგვარ არჩევანს.

– ჯერ ლარმა უნდა აღიდგინოს რეპუტაცია და მოსახლეობა თვითონ გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს. ბატონი კობა ამბობს, რომ დიდი ტრანზაქციების დროს ფასი ლარში უნდა დასახელდეს. დავუშვათ, მე, რიგით მოქალაქეს, ავტომობილის ან უძრავი ქონების გაყიდვა ან შეძენა მინდა და მისი ფასი ლარში დავასახელე, 2-3 დღის შემდეგ შეიძლება ეროვნული ვალუტის კურსი შეიცვალოს და მატერიალური ზარალი მივიღო.

რატომ ვაყენებთ თუნდაც ბიზნესს ასეთი დილემის წინაშე? ამ დროს ბიზნესი ხომ უფრო დიდ ზარალს განიცდის? დოლარიზაციის მაღალი დონე ლარის არასტაბილურობითა და მომხმარებლის მისდამი დამოკიდებულებით არის განპირობებული. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ხარისხი საკმაოდ დაბალია და მოსახლეობაც იმ ვალუტას ამჯობინებს, რომელიც უფრო მყარი და საიმედოა, – აცხადებს ირაკლი მაკალათია.

* * *

კობა გვენეტაძის განცხადებას ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა.

– მოსახლეობის დამოკიდებულება ეროვნული ვალუტისადმი და ლარის პრიორიტეტად აღიარება სულაც არ არის თავად მოსახლეობის სურვილსა და პატრიოტულ ემოციებზე დამოკიდებული. თითოეულ ჩვენგანს შესაძლებელია ძალიანაც გვსურდეს კიდეც ეს, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს მოსახლეობის დიდ ნაწილს ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის საბანკო სესხები სწორედ უცხოურ ვალუტაში აქვს ნომინირებული და საკურსო „მერყეობები“ მნიშვნელოვან დისკომფორტსა და ფინანსურ პრობლემებს გვიქმნის, ძალიან ძნელია, თავი აარიდო დოლარის „ნებაყოფლობითი ტყვეობის“ არცთუ სასურველ ჩაკეტილ წრეს, – წერს ლევან კალანდაძე.

მისი აზრით, ჩვენ გვსურს, შევეჩვიოთ ლარში დაგროვებას, ფასების ლარში დაფიქსირებას. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, გვირჩევნია, შევეჩვიოთ ლარში ვალდებულებების აღებას, მაგრამ...

– იმისთვის, რომ მოსახლეობა, როგორც თქვენ აღნიშნავთ, თავადაც შეეჩვიოს დოლარის გარეშე ცხოვრებას, საჭიროა, ადამიანებმა რეალურად იგრძნონ თქვენ მიერ გატარებული პრუდენციული პოლიტიკის ეფექტი, რომელიც, ერთი მხრივ, ლარის საკურსო სტაბილურობასა და, მეორე მხრივ, ლარში ოპერაციების უფრო მეტ რაციონალურობაში, უფრო მეტ მიმზიდველობაში, ზოგადად ფინანსურ სტაბილურობაში უნდა გამოიხატოს, – აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი.

მისი თქმით, ამას დრო სჭირდება და დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის პრობლემა და მისი თანმდევი ნეგატიური შედეგები ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით ვერ დაიძლევა.

– საბოლოო ჯამში, ყველაფერი დამოკიდებულია ან დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ეფექტიანი იქნება სებ-ისა და მთავრობის მიერ გატარებული დედოლარიზაციის პოლიტიკა, როგორი იქნება შესაბამისი გარემო და პირობები, მომავალში რამდენად მომგებიანი იქნება ტრანზაქციები ან სეივინგი ლარში და არა იმაზე, რას უნდა შეეჩვიოს ან რა შეიძლება სურდეს მოსახლეობას, – წერს ლევან კალანდაძე.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

## რუსეთის დუმა ქართული ღვინისა და ბორჯომის იმპორტის აკრძალვას ითხოვს

რუსეთის სახელმწიფო დუმის კომიტეტი საგარეო საქმეთა საკითხებში განცხადებას ამზადებს, რომლითაც დაგმობს საქართველოს, ალბანეთის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიისა და მონტენეგროს გადაწყვეტილებას, შეუერთდნენ ყირიმისა და სევასტოპოლის წინააღმდეგ სანქციების გახანგრძლივების შესახებ ევროკავშირის გადაწყვეტილებას.



უფრო კონკრეტულად ყურადღება გამახვილდება ქართული ღვინისა და მინერალური წყლის ბორჯომის იმპორტის აკრძალვაზე.

ამის შესახებ კომიტეტის წევრმა იან ზელენსკიმ განაცხადა.

– ჩვენ ვალდებულნი ვართ, რეაგირება მოვახდინოთ. ამავდროულად, ბუნებრივია, მთავრობას ვურჩევთ, ანალოგიურ ზომებს მიმართონ, – განაცხადა დეპუტატმა.

მისი თქმით, იმ ქვეყნების მთავრობებმა, რომლებიც სანქციებს შეუერთდნენ, სისულელე ჩაიდინეს, რადგან საპასუხო რუსული ზომებისგან გაცილებით მეტად დაზარალდებიან.

როგორც ჩანს ეს ყველაზე მეტად ქართულ ღვინოსა და ბორჯომს ეხება.

– მათი ღვინის გარეშე გავძლებთ, მინერალური წყლის გარეშეც. ჩვენ უამრავი საკუთარი რესურსი გვაქვს. უნდა განვავითაროთ ყირიმი – ღვინო, ტურიზმი. გვექნება კარგი ღვინო, ქიმიკატების გარეშე, განსხვავებით ქართული ღვინისგან, – განაცხადა დეპუტატმა.

20 ივლისს საქართველო შეუერთდა ევროკავშირის გადაწყვეტილებას, გაახანგრძლივოს სანქციები ყირიმისა და სევასტოპოლის წინააღმდეგ 2017 წლის 23 ივნისამდე.

სანქციები ყირიმისა და სევასტოპოლის წინააღმდეგ პირველად 2014 წლის ივნისში დაწესდა.

## თბილისის ნაწილს დღეს ელექტრომომარაგება შეეზღუდება



თბილისის რამდენიმე რაიონს, დღეს, გეგმური სამუშაოების ჩატარების გამო, ელექტრომომარაგება შეეზღუდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სს „თელასიდან“ აცნობეს, 22 ივლისს, სამგორის რაიონში, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შეზღუდვა შეეხება: ვარკეთილი-3 ზემო პლატოს მცხოვრებლებს.

ნაძალადევის რაიონში, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შეზღუდვა შეეხება: ინწკირველის, კახიანის, ქებურიას, ურიდიას, ჩხიკვაძის, მესხის, სტურუას, კიკნაძის, მიქატაძის, წრომის, უიარალოს, მუშათა, კისისხევის, წალვერის, ნოსტესა და კელაპტრიშვილის ქუჩების მცხოვრებლებს.

ისნის რაიონში,10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შეზღუდვა შეეხება: ბერი გაბრიელ სალოსის, ჩოლოყაშვილის, ცუცხვათის, გარეკახეთის, აწყურის, ზინდისის, დოესისა და ზურაბიშვილის ქუჩების მცხოვრებლებს.

ჩუღურეთის რაიონში, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, შეზღუდვა შეეხება: თამარ მეფის გამზირის, ნინოშვილის, ფოცხვერაშვილისა და თვალჭრელიძის ქუჩების მცხოვრებლებს.

დიდგორის რაიონში, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შეზღუდვა შეეხება: სოფელ წავკისის მცხოვრებლებს.

კომპანია ბოდიშს უხდის მომხმარებლებს შექმნილი დისკომფორტის გამო. „თელასის“ ინფორმაციით, სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

**ინტერპრესნიუსი**

პოლიტიკა

## ალექსეი პუშკოვი არ მიიჩნევს აუცილებლად, საქართველოს უპასუხოს



რუსეთი არ მიიჩნევს აუცილებლად, ამ ეტაპზე საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების გადაწყვეტილებას უპასუხოს, რომლებიც ევროკავშირის სანქციებს შეუერთდნენ ყირიმთან დაკავშირებით. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსეი პუშკოვმა განაცხადა.

– რუსეთი ამ ნაბიჯს არ აღიქვამს, როგორც მეგობრულს, მაგრამ, ამავდროულად, საჭიროდ არ მიიჩნევს, ამ ეტაპზე ავტომატურად გადადგას საპასუხო ნაბიჯები, – განაცხადა რუსმა დეპუტატმა.

პუშკოვის თქმით, საქართველოსა და რიგი სახელმწიფოების მიერთება ყირიმის საწინააღმდეგო სანქციებზე მხოლოდ სინანულს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარკუნძულის სასიცოცხლო ფუნქციებზე, პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს არ იმოქმედებს.

ალექსეი პუშკოვი:

– უპირველეს ყოვლისა, ეს პროპაგანდისტული და პოლიტიკური ნაბიჯია, რომელიც, უმეტესწილად, ნაკარნახევია საქართველოს ხელისუფლების მისწრაფებით დასავლეთთან ერთობის დემონსტრირებისთვის, რომელიც ამ სანქციების ინიციატორად გამოდის.

მისივე თქმით, რუსეთი მომართულია საქართველოსთან ურთიერთობის ეტაპობრივად ნორმალიზებისთვის.

– იქ არიან ძალები, რომლებიც ამით არიან დაინტერესებულნი – ეს მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს ეკონომიკისთვის, ისე ადამიანური ფაქტორის თვალსაზრისით, – განაცხადა რუსმა დეპუტატმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზებისთვის უკეთესი საფუძველი შეიქმნება, მათ შორის პარლამენტთაშორის კონტაქტებისთვის, რომლებიც, პრაქტიკულად, გაყინულია.

– ბოლო დროს ქართველ პარლამენტარებთან ურთიერთობისას საერთაშორისო მოედნებზე შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ გარკვეული პოტენციალი ჩვენი საპარლამენტთაშორისი ურთიერთობების გასაახლებლად არსებობს და რუსეთი ამისთვის მზადაა, – განაცხადა პუშკოვმა.

მისი თქმით, მის კომიტეტს რაიმე სახის განცხადების გაკეთება საქართველოს მიერ ყირიმის სანქციებთან მიერთების შესახებ არ აქვს დაგეგმილი, „იქიდან გამომდინარე, რომ საჭიროა ნაბიჯები ურთიერთობების გასაუმჯობესებლად და არა პირიქით – გასაუარესებლად“.

**ინტერპრესნიუსი**

## ქუთაისი-სამტრედიის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა




ქუთაისი-სამტრედიის შემოვლით გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. თვითმხილველების განცხადებით, ერთმანეთს დიდი სიჩქარით მოძრავი მსუბუქი ავტომობილები შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა სამი და დაშავდა ოთხი ადამიანი.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

## იან კელი: „საქართველოში წინასაარჩევნო გარემო ძალიან ცივილიზებულია“



საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელი წინასაარჩევნო კამპანიას დადებითად აფასებს. ამის შესახებ ელჩმა ჟურნალისტებს განუცხადა.

**იან კელი:**

– მე ვიტყოდი, რომ ეს არის ძალიან კარგი კამპანია, გარემო არის ძალიან ცივილიზებული, მიუხედავად იმისა, რომ კამპანია დიდი ხანია დაწყებული არ არის. მოუთმენლად ველოდებით მის გაგრძელებას, – აღნიშნა იან კელიმ.

ელჩმა ხაზი გაუსვა თავისუფალი არჩევნების ჩატარების მნიშვნელობას.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში მიწისძვრა მოხდა



გუშინ, 21 ივლისს, საქართველოში მიწისძვრა მოხდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრა თბილისიდან 56 კილომეტრში, ქალაქ დმანისიდან დასავლეთით 7 კილომეტრში, სოფელ შახმარლოსთან 3 კილომეტრში დაფიქსირდა.

მიწისძვრის მაგნიტუდამ 4.4 შეადგინა.

**ინტერპრესნიუსი**

# ან ჩვენ, ან ისინი

## რა გველოდება 8 ოქტომბერს

სოსო ზაალიშვილი

2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მრავალი დაპირება გასცა ავანსად. ძირითადი მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარება და სამართლიანობის აღდგენა იყო. არჩევნების პერიოდში მრავალი ადამიანი სწორედ ამ იდეისა და ივანიშვილის პერსონის ირგვლივ გაერთიანდა. არჩევნებიდან უკვე მეორე წელს აღმოჩნდა, რომ დაპირებების დიდი ნაწილის შესრულება სერიოზულად შეფერხდა. ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტი და სხვა ოპოზიციური პარტიის საარჩევნო ლოზუნგებსა და პლატფორმას ლაიტმოტივად გასდევს ერთი ხაზი – „ოცნებამ“ ვერ აღასრულა საარჩევნოდ გაცემული დანაპირები.

ვერ ვიტყვი, რომ „ოცნების“ საარჩევნო სტრატეგია ორიგინალურია. მან კამპანიის წარმართვისთვის მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში დასავლეთის პოლიტტექნოლოგიურ წრეებში დამუშავებული სტრატეგია აირჩია. ამ მეთოდს იყენებდა შევარდნაძე, შემდეგ – სააკაშვილი. ის ძალიან მარტივია. ბიპოლარული – ან ჩვენ, ან ისინი.

სტრესულ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოების აზროვნება სწორედ ასეთია. ის ყველაფერს ორ ფერში ხედავს – თეთრსა და შავში. არც საზოგადოების გამტყუნება შეიძლება, რადგან 25 წელიწადზე მეტია, საქართველოს მოსახლეობა პერმანენტული დაძაბულობის პირობებში ცხოვრობს და თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე აკეთებს არჩევანს.



შეუსრულებელი დაპირებები მძიმე ტვირთად აწევს „ოცნებას“, მაგრამ ამაზე უარესი ისაა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო შეუსრულებელი დაპირებების ალტერნატივის მოძიება, განვითარების უკეთესი გზის შეთავაზება. წარსულზე ორიენტირებული პოლიტიკა არაა განვითარების წინაპირობა. ამან არსად გაამართლა.

საქართველოს ხელისუფლება დღეს მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მათ შორის უმთავრესი 8 ოქტომბრის არჩევნებია.

ბევრ ადამიანს ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც შესაძლოა გაუჩნდეს ცდუნება, პროცესი კიდევ უფრო მეტი დაძაბვისკენ წაიყვანოს, რათა იმაზე მეტი სარგებელი მიიღოს, ვიდრე ეკუთვნის. როდესაც ჩვენს მეზობელ ნატოს წევრ ქვეყანაში 30.000 ადამიანს რამდენიმე დღეში დააპატიმრებენ, არ შეიძლება, ამან გავლენა არ იქონიოს ავტორიტარიზმის სახადისგან განკურნების გზაზე შემდგარ საზოგადოებაზე.

მმართველობის ამ ფორმას მრავალი სატყუარა აქვს. რაც მთავარია, ამ სენით შესაძლოა დაავადდეს როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში მყოფი ადამიანი. ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომლის უალტერნატივობაში ეჭვის შემტანი მოღალატედ ცხადდება, პირველი ნაბიჯია. ამას შემდეგ მლიქვნელთა და გამმართლებელთა კასტის ჩამოყალიბება მოჰყვება, რაც შედეგად რეალობის გამრუდებულ აღქმას იწვევს.

ეს პროცესი საქართველომ რამდენჯერმე გაიარა. სამწუხაროდ, მას არცერთხელ მოუტანია დადებითი შედეგი. განვითარების საუკეთესო სცენარი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობაა, როდესაც საზოგადოება შეგნებულ არჩევანს აკეთებს. არჩევანი კი დასახული მიზნიდან მომდინარეობს.

ასე რომ, პირველ რიგში, ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რა გვინდა. თუ გვინდა რუსეთთან ომი – ვიომოთ. არ გვინდა? მაშინ ისეთი ხელისუფლება ავირჩიოთ, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, მოაგვაროს ამ ქვეყანასთან ურთიერთობა.

გვინდა ნატოში გაწევრიანება? წავიკითხოთ, შევისწავლოთ იმ პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმა, რომლებიც ნატოში ინტეგრაციის მომხრენი არიან და ასეთებს მივცეთ ხმა.

მთავარია, კარგად გადავხედოთ კანდიდატების წარსულ მოღვაწეობას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამჯერად მაინც არ შევცდებით.

მეორე მხრივ, ამომრჩევლის განვითარება თავად პოლიტელიტის ინტერესში უნდა შედიოდეს. განუვითარებელი ამომრჩეველი თავად ელიტისთვის წარმოადგენს საფრთხეს. სახელმწიფო გადატრიალებების მცდელობები, ფერადი რევოლუციები პოლიტიკოსთა წინააღმდეგაა მიმართული. გუშინდელი მინისტრები, გენერლები, წარმატებული პოლიტიკოსები ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს, უკეთეს შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ასრულებენ და ამაში დამნაშავენი თავად არიან – სიტუაციას, რომელიც მათი მმართველობის პერიოდში იქმნება, ლოგიკურ დასასრულად მხოლოდ ეს შედეგი მოაქვს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც ესა თუ ის ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსი ახმაურებს, არჩევნების გაყალბების თემაა.

რამდენად სარგებლიანია ოპოზიციონერისთვის, რომელსაც ხელისუფლებაში უნდა მოსვლა, ამ თემის წინა პლანზე წამოწევა და საკუთარი თავის წამებულის გვირგვინით შემკობა, ჩემთვის გაუგებარია.

მარტივი კითხვა ჩნდება – თუ პარტიას საკუთარი ხმების დაცვა არ შეუძლია, თუ გეგმა ვერ შეიმუშავა, როგორ შეძლებს ასეთი პოლიტიკური ორგანიზაცია ქვეყნის ინტერესების დაცვას?! ამიტომ, არა მგონია, გაყალბების თემა მნიშვნელოვანი იყოს მომავალ არჩევნებზე.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, პოლიტიკური სპექტრი დიდად არ შეცვლილა. ამომრჩეველს უკვე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულება პოლიტიკოსებზე. ის, რომ საქართველოში ასეთი პოლიტიკური სპექტრია, საზოგადოების მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს. მოთხოვნილება წარმოშობს მიწოდებას. რასაც ვითხოვთ, იმას ვიღებთ. რაც დავთესეთ, იმას ვიმკით.

# ლია მუხაშავრია: „ხელისუფლებას აწყობს სახელგატეხილი მოსამართლეები“

## „პარლამენტი სასამართლო სისტემის რეფორმირებას ობსტრუქციას უწყობს“

ნათია ხურცილავა

სამართლის ექსპერტი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები არ უნდა შეცვალოს.

***– პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის სამი კანდიდატი პარლამენტს განმეორებით წარუდგინა მხოლოდ ერთი ცვლილებით – ანა დოლიძე ლევან ბოძაშვილმა შეცვალა. რატომ არ ცვლის პრეზიდენტი ამ კანდიდატებს, თუ ისინი კვლავ ჩავარდნისთვის არის განწირული?***

– სისხლის სამართლის პალატაში მოსამართლეთა დანიშვნა აუცილებელი და საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ერთ-ერთი საკვანძო პალატა, სადაც მნიშვნელოვანია კვალიფიციური, გამოცდილი და საზოგადოებისთვის საიმედო და კარგი რეპუტაციის მქონე იურისტების ყოლა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ.

***– რა შეგიძლიათ თავად კანდიდატებთან დაკავშირებით გვითხრათ?***

– ქალბატონ ლალიაშვილსა და ქალბატონ თოდუას კარგად ვიცნობ და ისინი ნამდვილად იმსახურებენ ნდობასა და ამ თანამდებობაზე დანიშვნას.

***– ლევან ბოძაშვილი?***

– ბატონ ბოძაშვილს არ ვიცნობ და ვერაფერს გეტყვით მასზე. მასთან, უბრალოდ, არასდროს მქონია შეხება.

***– თოდუასა და ლალიაშვილის კანდიდატები ერთხელ უკვე ჩააგდო პარლამენტმა. ხელმეორედ მათ წარდგენას აქვს აზრი?***

– პრეზიდენტს მსგავსი გამოცდილება აქვს, როდესაც ამ მოწვევის პარლამენტმა პირველ ჯერზე ჩააგდო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები ძლიერიშვილი და ბაქაქური, ისე, რომ არანაირი დასაბუთება ამ გადაწყვეტილებას პარლამენტის მხრიდან არ მოჰყოლია. თუმცა, მეორედ როდესაც მოხდა იმავე კანდიდატებისთვის კენჭისყრა, ისინი გავიდნენ და დაინიშნნენ. პრეზიდენტს პარლამენტის ხუშტურების გავლის გამოცდილება აქვს.

თუკი პრეზიდენტს ღირსეული კანდიდატი ჰყავს, ის არ უნდა გამოცვალოს და ხელახლა უნდა წარუდგინოს პარლამენტს. რაც შეეხება ქალბატონ ანა დოლიძეს, მან სხვა შეთავაზება მიიღო პრეზიდენტისგან და ისიც დათანხმდა.

უზენაეს სასამართლოში მუშაობა არ არის მარტივი საქმე. ახლა ჯერი პარლამენტზეა, თუმცა ამ მოწვევის პარლამენტი სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღისთვის მომზადებულ კანონპროექტსაც არ ამტკიცებს.

***– თქვენი პოზიცია როგორია, რატომ?***

– ეს პარლამენტი პირდაპირ ობსტრუქციას უწყობს სასამართლო სისტემის რეფორმირებას, რადგან არც რეფორმისთვის საჭირო კანონპროექტს იღებს, არც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს ამტკიცებს. ეს ფაქტები ძალიან საეჭვო ტენდენციების მაჩვენებელია. ეს პარლამენტი ვერ გაიზარდა იქამდე, რომ ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობა გააცნობიეროს.

***– ზოგადად რატომ ყოვნდება სასამართლოს სისტემის რეფორმირება, რატომ არ მივიწევთ წინ?***

– ალბათ, ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს არ ესმის სასამართლოს ხელისუფლების დანიშნულება და მნიშვნელობა. მეორე მიზეზი შეიძლება სრულიად მერკანტილური და პრაგმატული მიზეზებიდან გამომდინარეობდეს, მაგრამ უზნეო და გასაკიცხი: შეიძლება, მათ აწყობთ, სასამართლოში შეინარჩუნონ ის მდგომარეობა ანუ შეინარჩუნონ სახელგატეხილი მოსამართლეები, რომლებიც ვერ უმკლავდებიან ზეწოლას, ვისი მხრიდანაც უნდა მოდიოდეს ის და მზად არიან, ეს დაკვეთები შეასრულონ.

მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ საარჩევნო წელია და წინ საპარლამენტო არჩევნები გველოდება. მოსალოდნელია, რომ ბევრი საჩივარი შევა სასამართლოში. ხელისუფლებას აწყობს დამოკიდებული და მიკერძოებული მოსამართლეები სასამართლო სისტემაში, რომლებიც ხელისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ.



***– იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რამდენიმე კვირის წინ ხელახალი ვადით აირჩია მოსამართლეები, მაგრამ გახმაურებული საქმის რამდენიმე მოსამართლის კანდიდატურა ჩავარდა, მაგალითად, გირგვლიანის საქმის მოსამართლე ჩემიას კანდიდატურა, ასევე რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლე ურთმელიძის კანდიდატურა. ეს მიანიშნებს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშს უწევს საზოგადოებაში არსებულ კრიტიკულ პოზიციებს?***

– დიახ, ნამდვილად ვფიქრობ, რომ ჩვენ, საზოგადოებამ, ვაიძულეთ ისინი, საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიში გაეწიათ, თუმცა ისინი ბოლომდე საზოგადოებრივ აზრს მაინც არ უწევენ ანგარიშს, რადგან არანაკლებ სახელგატეხილი მოსამართლეები მეორე ვადით დაინიშნნენ.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, ქალბატონი ალანია. მისი დანიშვნა მეორე ვადით მოსამართლის პოსტზე სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია. თამარ ალანია არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ისე, რომ მას არ შეუჩერებია უფლებამოსილება, არ გადამდგარა თანამდებობიდან, ისე გახდა მოსამართლე. ეს არის პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი. ეს არის წარმოუდგენელი სიბეცე და უვიცობა, ძალიან რბილად რომ ვთქვა და სხვა განზრახვაზე რომ არაფერი ვთქვა.

***– თამარ ალანიამ განაცხადა, რომ კენჭისყრის დროს საკუთარი კანდიდატურისთვის ხმა არ მიუცია.***

– ეს არაფერს ცვლის. ის თანამდებობიდან არ გადამდგარა, ისე გახდა მოსამართლე. იმ ორგანომ აირჩია, სადაც ის მუშაობს, რომლის წევრიც ის არის.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასე გათავხედებას ვერ გაბედავდა, რომ არა მმართველ რგოლთან, პარლამენტთან შეთანხმება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# თურქეთში საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს



გუშინ, 21 ივლისს, თურქეთში პოლიციელის მკვლელობისთვის საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს.

ქალაქ მარმარისში პოლიციელის მკვლელობისთვის დაკავებული 5 ქართველიდან ერთ-ერთი პირი საქართველოში დანაშაულის ჩადენისთვის იძებნება.

როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, ბოროტმოქმედებმა პოლიციელს სასიკვდილო ჭრილობები ყელისა და მუცლის არეში მიაყენეს, რის შემდეგაც მას მანქანითაც გადაუარეს.

პოლიციელმა დამნაშავეებს ავტომანქანის გაძარცვის მცდელობისას შეუსწრო და დანაშაულის აღკვეთა ცადა.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით საგარეო სამინისტრო განცხადებას ავრცელებს:

– რა ინფორმაციაც ამ დროისთვის არის შესული საკონსულოში, არის ის, რომ დაკავებულია საქართველოს 5 მოქალაქე. გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც თურქულ მედიაში პოლიციაზე დაყრდნობით ვრცელდება, მათ ბრალად განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული ედებათ. ჩვენი კონსული ადგილზე გაეცნობა სიტუაციას.

ინტერპრესნიუსი

# პავლე შერემეტი რუსებმა მოკლეს?





პავლე შერემეტის მკვლელობამ მთელი უკრაინა ფეხზე დააყენა. პრეზიდენტმა პოროშენკომ საქმე პირად კონტროლზე აიყვანა, უკრაინის უშიშროების შეფმა გენერალმა გრიცაკმა კი მკვლელობის ოთხი შესაძლო ვერსია წამოაყენა.

– ჯერჯერობით მკვლელების ვინაობას ვერ დაგისახელებთ, თუმცა გაგვაჩნია ოთხი ვერსია იმისა, თუ რატომ უნდა მოეკლათ შერემეტი, – თქვა გრიცაკმა.

პირველი ვერსია პროფესიული საქმიანობაა. უკრაინელი ჩეკისტების აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეს მკვლელობის მიზეზი გახდა. შერემეტი ხომ სისხლის სამართლის პრობლემებზე არ მუშაობდა, არც რომელიმე უკრაინელი ოლიგარქი გამოუჭერია კრიმინალურ საქმიანობაში.

– ის აცხადებდა, რომ უნდა მოხდეს უკრაინული პოლიტიკის დეოლიგარქიზაცია, მაგრამ ამას დღეს ყველა ლაპარაკობს! ამის გამო არავის კლავენ, – ამბობს გენერალი გრიცაკი.

მეორე ვერსია პირადი მოტივია. აქაც არსებობს უამრავი ფაქტორი, რაც მას აცამტვერებს. შერემეტი უკონფლიქტო ადამიანი გახლდათ, რედაქციაში ყველას უყვარდა, შეხლა-შემოხლაც არავისთან ჰქონია.

მესამე ვერსია ელენე პრიტულაზე თავდასხმაა, რომელსაც შემთხვევით შერემეტი შეეწირა.

ელენე პრიტულა „უკრაინსკა პრავდის“ მფლობელია. იმ დღეს შერემეტის გვერდით მანქანაში პრიტულაც უნდა მჯდარიყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში პრიტულამ შინ დარჩენა ამჯობინა.

მეოთხე ვერსია რუსული კვალია. უკრაინის უშიშროების სამსახურის აზრით, ეს ყველაზე რეალურია. შერემეტის მკვლელობით მოსკოვმა რამდენიმე კურდღელი მოკლა. პირველი და უმთავრესია ის, რომ თავიდან მოიშორეს შერემეტი, ცნობილი ჟურნალისტი და მკვეთრად ანტიპუტინურად განწყობილი პიროვნება. ამას გარდა, შერემეტის მოკვლით უკრაინა წარმოჩნდება, როგორც ტერორისტების ქვეყანა, სადაც მეფობს ქაოსი, ბანდიტიზმი, სადაც ადამიანი არ არის დაცული.

– მე უფრო მეოთხე ვერსიას ვემხრობი. როგორც ჩანს, შერემეტის მკვლელობის უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან, – აცხადებს ვასილი გრიცაკი.

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროც ფიქრობს, რომ შერემეტის მკვლელობაში რუსული სპეცსამსახურების ხელი ურევია. მინისტრ ავაკოვის მრჩეველმა ზორიან შკირიაკმა მე-5 არხისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

– არსებობს ყველა საფუძველი საიმისოდ, რათა გაკეთდეს დასკვნა, რომ შერემეტი რუსული სპეცსამსახურების მიერაა მოკლული.

# თურქეთში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა ქვეყანაში სამთვიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული ზომა აუცილებელია საფრთხეების ნეიტრალიზებისთვის.

ერდოღანმა განაცხადა, რომ სწრაფად მოხდება იმ ტერორისტული ორგანიზაციის ყველა ელემენტის ნეიტრალიზება, რომელიც გადატრიალების მცდელობის დროს გამოიყენეს.

თურქეთის პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ გამოაცხადა. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ამ პერიოდის განმავლობაში საფრთხე არ შეექმნებათ.

სტამბოლის მერმა კადირ ტოფბაზმა სკანდალური განცხადება გააკეთა.

ის მზადაა, ქალაქში გამოყოს მიწა, სადაც მოღალატეთა სასაფლაო გაკეთდება.

– მე გავეცი ბრძანება შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე, სადაც მოღალატეებისთვის სპეციალური სასაფლაო გაკეთდება და გამვლელებს ექნებათ საშუალება, დაწყევლონ ისინი და მათ საფლავებში მოსვენება არ ექნებათ, – განაცხადა ტოფბაზმა.

თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ დააკავეს, სამსახურიდან მოხსნეს ან მუშაობის უფლება შეუჩერეს, სულ მცირე, 45 ათას ადამიანს. დაკავებულია 6.000-მდე სამხედრო მოსამსახურე.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ თურქეთში საგანგებო მდგომარეობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაუქმდეს.



– საგანგებო მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ქვეყანა საკონსტიტუციო რეჟიმს უნდა დაუბრუნდეს, – თქვა შტაინმაიერმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ერევანში შეტაკებები გრძელდება

სომხეთის დედაქალაქში გრძელდება დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციური „დამფუძნებელი პარლამენტის“ მომხრეებს შორის.

ძალოვნებმა დაშალეს მანიფესტანტები, რომლებიც იმ პოლიციის რაიგანყოფილების შენობის მახლობლად შეიკრიბნენ, სადაც პროტესტანტები არიან გამაგრებული.

სპეცრაზმმა ხალხს დაშლისკენ მოუწოდა, რასაც მანიფესტანტებმა სტვენით უპასუხეს. მალე მათმა რაოდენობამ 8.000-ს მიაღწია. დაძაბულობა მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მანიფესტანტებმა პოლიციის შენობაში გამაგრებული პროტესტანტებისთვის საკვების გადაცემა დააპირეს.

– ჩვენ არ გვაქვს იარაღი, მხოლოდ ის გვინდა, რომ ჩვენს ძმებს საკვები მივაწოდოთ, – აცხადებდნენ მანიფესტანტები.

ამის შემდეგ სპეცრაზმმა ხალხზე იერიში მიიტანა. გამოყენებულ იქნა რეზინის ხელკეტები, ცრემლმდენი გაზი, გამაბრუებელი ყუმბარები.

მანიფესტანტებმა პასუხად პოლიციელებს ქვები და ჯოხები დაუშინეს.

დაშავებულები ორივე მხრიდან არიან. სულ დაზარალებულია 45 ადამიანი.

სპეცრაზმმა ხალხის დაშლა შეძლო. მიუხედავად ამისა, დაძაბულობა არ ცხრება. ერევნის სხვადასხვა რაიონში აღიმართა ბარიკადები.

– მანიფესტანტებმა გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. დაჭრილია მილიციის პოდპოლკოვნიკი, – იტყობინება სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

პოლიციამ 136 მანიფესტანტი დააკავა. ერევანში შეტაკებები გრძელდება.



# ამერიკელმა ქალმა 26 თვეში სამი ტყუპი გააჩინა



ამერიკის მისურის შტატის ქალაქ კანზასსიტის მცხოვრებმა 26 თვეში სამი ტყუპი ბავშვი გააჩინა. მათგან ერთ-ერთი პირველი ბავშვი ნაადრევი მშობიარობის გამო წარმოქმნილი გართულებების გამო დაკარგა.

20 წლის დანეში კაუჩის თქმით, როდესაც ის ხალხში საკუთარ დედობაზე საუბრობს, ზოგიერთი მათგანი ამას გადახრად მიიჩნევს.

– როდესაც საკუთარ შვილებზე ვსაუბრობ, ადამიანები ბუნების საოცრებას მიწოდებენ, – განაცხადა კაუჩმა.

აღსანიშნავია, რომ აფროამერიკელი ქალის ქორწილი ბავშვების მამასთან მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართება. თავად ქალის თქმით, ისინი ჯერჯერობით მორიგ ფეხმძიმობას არ გეგმავენ.

ქალმა ისიც აღიარა, რომ მათ ოჯახს ფინანსური დახმარება სჭირდება. იმისთვის, რომ ხუთი ბავშვის შენახვისთვის საჭირო თანხები მოაგროვონ, წყვილმა ინტერნეტში სპეციალური გვერდი გახსნა ფულის მოსაგროვებლად. ამ დროისთვის მათ ანგარიშზე უკვე 1,3 ათასი დოლარია.

# გერმანელი ფოტოგრაფი იატაკების გადაღებამ გაიტაცა

გერმანელმა ფოტოგრაფმა სებასტიან ერასმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში შექმნა გვერდი, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში გადაღებული იატაკების სურათებს აქვეყნებს. ამ მომენტისთვის მის აკაუნტს უკვე 91 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ერასი იატაკების ფოტოსურათებს თავისი მოგზაურობების დროს იღებს. კერძოდ, მან შექმნა მოზაიკური იატაკების სურათების სერია. მან მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი იატაკის საფარი აღბეჭდა. გერმანელს თავისი ფოტოსურათები გადაღებული აქვს ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: მარაკეში, ბარსელონა, ლონდონი, ვენეცია, ანტვერპენი.

სურათების გადაღების გარდა, გერმანელმა ფოტოგრაფმა შეადგინა რუკა, რომელზეც აღნიშნა ლონდონის ყველაზე საინტერესო იატაკის საფარიანი ადგილები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ქილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# 20 წლამდე ნაკრებმა უმოტივაციო მატჩი სომხეთთან წააგო




საბერძნეთში მიმდინარე საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე სომხეთის ნაკრები იყო. ქართველებს მეოთხედფინალში გასვლა განაღდებული ჰქონდათ, რადგან ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში მეორე ადგილს ვერც ჩამოსცილდებოდნენ და ვერც ასცდებოდნენ.

შესაძლოა, მოტივაციის ნაკლებობა გახდა იმის მიზეზი, რომ ქართველმა კალათბურთელებმა მატჩი არადამაჯერებლად ჩაატარეს. მანამდე მოგების არმქონე სომხეთთან 62:65 წააგეს.

არადა, ჩვენმა ახალგაზრდებმა რადიკალურად განსხვავებულად ჩაატარეს წინა ორი შეხვედრა – ძლიერ მაკედონიასა და პორტუგალიას საქმე, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში მოუთავეს.

ასეა თუ ისე, ჯგუფში პირველ ადგილზე ჩერნოგორია გავიდა, მეორეზე – საქართველო. ორივემ მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

პლეი ოფში საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრების მეტოქე ისლანდია იქნება. მატჩი დღეს გაიმართება.

სომხებთან მატჩში კი საუკეთესო ვილი ისიანი იყო, რომელმაც 16 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა. 16 ქულა ჰქონდა დავით ლომიძესაც, ხოლო ტურძილაძესა (10 ქულა, 8 მოხსნა) და მასხულიას (9 ქულა, 9 მოხსნა) ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდათ.

# რუსი მძლეოსნები ოლიმპიადაზე არ დაუშვეს




ლოზანაში ჩატარებულმა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და რიო დე ჟანეიროში გასამართ 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე რუსი მძლეოსნების ასპარეზობა დაუშვებლად მიიჩნია.

სასამართლოს ბოლო ინსტანციამ რუსული მხარის საჩივარი არ დააკმაყოფილა და 68 რუსი ათლეტისთვის მსოფლიოს მძლეოსნობის ფედერაციის დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა.

მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ ჩატარებული გამოძიების საფუძველზე რუსეთის ანტიდოპინგურ ლაბორატორიებში მასობრივი დარღვევები გამოვლინდა.

ამრიგად, რუსეთის მძლეოსნობის ნაკრები რიოს ოლიმპიადის მიღმა დარჩა. ერთადერთი რუსი სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიადაზე იასპარეზებს, სიგრძეზე მხტომელი დარია კლიშინაა, რომელმაც ოლიმპიური თამაშების საგზური ინდივიდუალური წესით მიიღო.

# კანადელის ბავშვს ცხოველებთან ერთად სძინავს



კანადაში მცხოვრებმა ფოტოგრაფმა ელისაბედ სპენსმა შექმნა ფოტოსურათების სერია, რომელზეც ძაღლთან ჩახუტებული მძინარე ბავშვია ასახული. სოციალურ ქსელ ინსტაგრამში აკაუნტს, სადაც ფოტოგრაფი მათ ფოტოსურათებს აქვეყნებს, 40 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

სპენსერი მუდმივად უღებს ფოტოსურათებს თავის ბავშვსა და ცხოველებს, რომლებსაც მასთან ერთად სძინავთ. ძაღლი, სახელად ნორა, ყოველთვის რვა თვის ჩვილის, არჩის, გვერდით წევს.

სპენსის თქმით, მან და მისმა მეუღლემ ნორა ადგილობრივი ცხოველთა გადარჩენის თავშესაფრიდან შვიდი წლის წინ წამოიყვანეს.

– ოთხი თვის წინ შევნიშნე, რომ ნორასა და არჩის შორის ძლიერი კავშირი არსებობდა, – განაცხადა სპენსმა, რომელმაც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მძინარე ბავშვისა და ძაღლისთვის სურათების გადაღება.

ნორას გარდა, სპენსი არჩის სურათებს იმ ცხოველებთან ერთადაც უღებს, რომლებიც ასევე მათ სახლში ცხოვრობენ და რომლებიც ასევე ცხოველთა თავშესაფრიდან წამოიყვანა.

# მილტონ ჰეიგი: „მსურს, საქართველოს ნაკრების დიდი წარმატების ნაწილი გავხდე“

1986 წელს უელსის ნაკრების შემდეგ ჯერ არცერთ გუნდს არ დაუსრულებია 3-ტესტიანი ოკეანეთის ტურნე დაუმარცხებლად და 30 წლის შემდეგ ეს საქართველოს ნაკრებმა მოახერხა. ფრე სამოასთან (19:19), მოგებები ტონგასთან (23:20) და ფიჯისთან (14:3).

ქართული რაგბის წარმატებაზე, პროგრესზე, წინსვლასა და 6 ერში თამაშის უფლების დამსახურებაზე საუბარი არ წყდება. პოპულარულები გახდნენ ქართველი მორაგბეებიც, ხოლო მათ მწვრთნელ მილტონ ჰეიგს ინტერვიუებზე ხშირად აწუხებენ.

ბორჯღალოსანთა დამრიგებელს ამჯერად პოპულარული პორტალი პლანეტ რაგბი ესაუბრა.




**მილტონ ჰეიგი:**

– მორაგბეებს ვეუბნებოდით – წარმოიდგინეთ, რა კარგია, როცა წევხარ სანაპიროზე და ფიქრობ, რომ აქამდე დაუმარცხებლებს წინ ფიჯისთან მატჩი დაგრჩათ. მათ ვაჩვენე ფიჯის პირველი ხაზის სტატისტიკა და დაინახეს, რომ დაცვაში უკეთესები ვიყავით. როდესაც ასეთ ფაქტს დაუდებ, ისინი ამის დაჯერებას იწყებენ და, როდესაც ეს ხდება, რაღაც განსაკუთრებული იწყება.

და საქართველომაც ფიჯი დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა – 14:3. თუმცა ქართული რაგბის გარშემო არსებული პოზიტიური განწყობის ფაქტორი არა მხოლოდ წყნარი ოკეანის ტურნედან გამომდინარეობს, არამედ გასული წლის მსოფლიო თასის წარმატება და რაგბი ევროპის აგერ უკვე მერამდენე ტიტულიც დიდ როლს თამაშობს.

***– თქვენი მიღებული გამოცდილებით, რომელიც მშობლიურ ზელანდიას უკავშირდება, მათ შორის ახალი ზელანდიის 20 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის ასისტენტობას. როგორ გამოიყენეთ ეს გამოცდილება სხვა სარაგბო კულტურის მქონე ნაკრებთან?***

– როდესაც ბორჯღალოსნების წინა მსოფლიო თასების ისტორიას გადავხედე, დავინახე დიდი მორკინალების ნაკრები, რომლებსაც ერთგანზომილებიანი თამაშის სტილი ჰქონდა. მალე გავიაზრეთ, რომ თუ კარგ გუნდებთან გვინდოდა ასპარეზობა მომავალში, ჩვენი თამაშისთვის უფრო მეტი სიფართოვე უნდა მიგვეცა. ეს პროცესი 4-5 წლის წინ დაიწყო და დღემდე ვითარდება.

***– გასულ მსოფლიო თასზე ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ვასილ ლობჟანიძე იყო, რომელიც, ამავდროულად, ბორჯღალოსანთა ახალ ტალღას კაპიტნობს.***

– კარგია, რომ გვყავს კიდევ ერთი დამატებითი მოთამაშეთა ბირთვი 2019 წლის მსოფლიო თასისთვის, რომლებმაც ასევე კარგად იციან ჩვენი სისტემა. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიმკით იმ წინსვლას, რაზეც უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ვმუშაობდით. ენთუზიაზმის უდიდესი ნაწილი 20 წლამდელთა ნაწილიდან მოდის, რომლებმაც ახლახან მანჩესტერში ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე მე-10 ადგილის დაკავებით მომავალი წლის ტურნირში ასპარეზობის გარანტია მოიპოვეს, რომელიც მათ ისედაც ჰქონდათ, რადგანაც ისინი ტურნირის მასპინძლები იქნებიან.

***– როგორ მოახერხეთ ამ ყველაფრის მოკლე პერიოდში ჩანერგვა?***

– არაფერს ვაკეთებ განსხვავებულს იმისგან, რასაც ახალ ზელანდიაში ვაკეთებდი, უბრალოდ, ამჯერად საქართველოსთან ვმუშაობ, სადაც კარგად აწყობილი სისტემა მაქვს და ამ სისტემას მივყვები.

***– როგორ ფიქრობთ, 6 ერში მოხვედრა ბოლოადგილოსანთან პლეი ოფის სისტემით უფრო მისაღებია თუ ავტომატური ჩანაცვლებით?***

– ჩვენ, უბრალოდ, იქ მოხვედრა გვსურს. გულწრფელად ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ 6 ერის ბოლოადგილოსან გუნდთან პლეი ოფი გვექნება, ამ გამოწვევას აუცილებლად მივიღებთ, რადგანაც ეს კარგი დასაწყისი იქნება. თუ ჩვენ ვიმსახურებთ 6 ერს, ამ თამაშს მოვიგებთ.

თბილისში თამაშის ატმოსფერო ნამდვილად განსაკუთრებულია. რუმინეთის წინააღმდეგ გამართულ მატჩს 54.000-მდე მაყურებელი ესწრებოდა, როდესაც რაგბი ევროპის ჩემპიონობა უკვე მოპოვებული გვქონდა და ეს თამაში რეალურად არაფერს წყვეტდა. თბილისში რომ 6 ერის მატჩი ჩატარდეს, 2-ჯერ და 3-ჯერ მეტი ბილეთი გაიყიდება. აქ ჩამოსული გუნდები ნამდვილად აღფრთოვანებულები დარჩებიან არა მხოლოდ თამაშის ატმოსფეროთი, არამედ ქართველების სტუმართმოყვარეობითა და თბილისის ღირსშესანიშნაობებით. თუ ოდესმე ამ ტურნირზე ვიასპარეზებთ, თბილისი გახდება ერთ-ერთი ისეთი ტურისტული სამიზნე, როგორიც ამჯერად რომი და პარიზია.

***– ეს ყველაფერი რამდენ ხანშია მოსალოდნელი?***

– ვიმედოვნებ, ამ ყველაფრის ნაწილი თავადაც გავხდები, რადგან კონტრაქტი 2019 წლამდე მაქვს. ამჟამად ყველანი მძიმე შრომით მოპოვებული წარმატებით ვტკბებით, სისტემა უკვე დანერგილი გვაქვს. ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი პატარ-პატარა დეტალებია, რომლებზე მუშაობაც ძალიან საინტერესოა. ასეთ პოზიციაში მყოფი მწვრთნელისთვის ყველაზე სასიამოვნო საქმის კეთება ახლაა.

## შედეგები

**20 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ასტანა-ჟალგირისი | 2:1 |
| დუდელანჟი-ყარაბახი | 1:1 |
| ნორჩიოპინგი-რუსენბორგი | 3:2 |
| ფერენცვაროშიპარტიზანი (ტ) | 1:1 (1:3პ) |
| ტრენჩინი-ოლიმპია | 2:3 |
| დინამო (ზ)-ვარდარი | 3:2 |
| სელტიკი-ლინკოლნი | 3:0 |
| ჰაფნარფიორდი-დანდალკი | 2:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# პოლიციელმა ძაღლმა აზიდვებით სოციალური ქსელი დაიპყრო



სოციალურ ქსელ ფეისბუქში ბრიტანეთის ეივონისა და სომერსეტის საგრაფოების ტერიტორიების პოლიციის განყოფილების გვერდზე განთავსდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია მომენტი, როდესაც ძაღლი პოლიციელ სტივ ჰოპსვუდთან ერთად ვარჯიშობს, რომელიც აზიდვებს ასრულებს. ვიდეორგოლმა ამ დროისთვის 1,6 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

როგორც ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარშია მითითებული, ამგვარად პოლიციელმა და ძაღლმა მონაწილეობა მიიღეს ფლეშმობში, რომელიც იმისთვის გაკეთდა, რათა საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ვეტერანების თვითმკვლელობებს. 22 დღის განმავლობაში განყოფილების თანამშრომლები და კამპანიის სხვა მონაწილეები 22 აზიდვას ასრულებენ.

აღსანიშნავია, რომ ივლისის დასაწყისში ამერიკის ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტმა გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც აშშ-ში ყოველწლიურად ომის 22 ვეტერანი იკლავს თავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ბრაზილიელი ბავშვთან ერთად ცეკვისთვის გააკრიტიკეს



ფეისბუქის მომხმარებელმა დანიელ კანისიომ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ცეკვავს ტვერკს ბრაზილიელი ქალი (მისი სახელი უცნობია) ბავშვთან ერთად. მამაკაცმა გოგონას საქციელი გააკრიტიკა და ის დაუშვებლად მიიჩნია.

– მე მორალისტი არ ვარ, მაგრამ, როდესაც ხედავ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც ეს სასაცილო და მაგარია, მაშინ ხვდები, რომ ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი რიგზე არ არის, – დაწერა კანისიომ.

ვიდეომ, რომელიც მან 16 ივლისს გამოაქვეყნა, 2,3 მილიონზე მეტი ნახვა და 22 ათასზე მეტი კომენტარი მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტმომხმარებელთა უმრავლესობამ ქალის ბავშვთან ერთად ცეკვა უარყოფითად შეაფასა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# არ მიირთვათ თერმულად დაუმუშავებელი ღორის ხორცი

## ფრთხილად, ტრიქინელოზია!

**ტრიქინელოზის გამომწვევია მრგვალი ჭია. ავადდება ღორი, დათვი, მელა, მაჩვი, ძაღლი, კატა, ვირთაგვა, თაგვი, იშვიათად ცხენი და ძროხა.**

**ადამიანის დასნებოვნების მიზეზი დაავადებული ცხოველის, უფრო ხშირად, ღორის ხორცია.**

დაავადების სიმძიმე ორგანიზმში მოთესილი მატლების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ინკუბაციური პერიოდი 1-2 დღიდან 25 დღემდე მერყეობს.

დაავადების დასაწყისისათვის დამახასიათებელია ტკივილი მუცლის არეში, გულისრევა, ფაღარათი, ცხელება. კუნთების ინვაზირება იწყება პირველი კვირის ბოლოს და დამახასიათებელია შეშუპება თვალების ირგვლივ, კონიუნქტივიტი (თვალის ლორწოვანის ანთება) სისხლჩაქცევებით, კუნთების ტკივილი და საერთო სისუსტე. შეიძლება განვითარდეს გამონაყარი, ფრჩხილქვეშა სისხლჩაქცევები, გულის კუნთის, ფილტვების და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება.

ტრიქინელოზი ფართოდაა გავრცელებული ბევრ ქვეყანაში, საქართველოში შემთხვევების მატება დაიწყო 1985 წლიდან. აღწერილია სულ 2.500-ზე მეტი შემთხვევა, აქედან 80% – აღმოსავლეთ საქართველოში. დაავადებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მოზრდილებია.

როდესაც ადამიანი ჭამს ტრიქინელას ლარვებით დაბინძურებულ ხორცს, ლარვები ხვდებიან ნაწლავებში, სადაც რამდენიმე კვირის განმავლობაში გარდაიქმნებიან ზრდასრულ ჭიებად. ზრდასრული ჭიები შემდეგ წარმოქმნიან ლარვებს, რომლებიც ხვდებიან სხვადასხვა ქსოვილებში, მათ შორის კუნთებში. ტრიქინელოზი ყველაზე გავრცელებულია ქალაქგარეთ.



ტრიქინელოზის მკურნალობა შეიძლება მედიკამენტებით, თუმცა ეს ყოველთვის არ არის აუცილებელი. ადვილია ტრიქინელოზის პრევენცია.

ტრიქინელოზი ვრცელდება თერმულად დაუმუშავებელი და ლარვებით დაბინძურებული ხორცის ჭამით. ბუნებაში, ცხოველები ინფიცირდებიან სხვა დაინფიცირებული ცხოველების ჭამის შედეგად. ღორები და ცხენები შეიძლება დაინფიცირდნენ ნაგვიდან ხორცის ნარჩენების ჭამით. ძროხები არ ჭამენ ხორცს, ამიტომ მათში ინფექცია არ გვხვდება.

მუცლისმხრივი სიმპტომები შეიძლება გაჩნდეს ინფიცირებიდან 1-2 დღეში. სხვა სიმპტომები როგორც წესი ინფიცირებიდან 2-8 კვირაში ჩნდება. სიმპტომების სიმწვავე დამოკიდებულია ლარვების რაოდენობაზე დაინფიცირებულ ხორცში.

შესაძლოა არ იყოს ნიშნები და სიმპტომები.

ტრიქინელოზის მსუბუქი შემთხვევების დროს, როდესაც ორგანიზმში ცოტა პარაზიტია, შეიძლება არ გაჩნდეს შესამჩნევი ნიშნები და სიმპტომები. სიმპტომები შეიძლება გაჩნდეს საშუალო ან მძიმე ინფექციის დროს, როდესაც პარაზიტი მოძრაობს ორგანიზმში.

ადამიანი ყლაპავს ტრიქინელას ლარვას, რომელიც ცისტაშია მოთავსებული. საჭმლის მომნელებელი წვენები ინელებენ ცისტას, რის შედეგადაც პარაზიტი თავისუფლდება ორგანიზმში. ლარვები შემდეგ ხვრეტენ წვრილი ნაწლავის კედლებს, სადაც ისინი გარდაიქმნებიან ზრდასრულ ჭიებად. ამ დროს ავადმყოფი შეიძლება ჰქონდეს ფაღარათი, მუცლის ტკივილი, დაღლილობა, გულისრევა და პირღებინება.

ინფიცირებიდან 1 კვირის შემდეგ, ზრდასრული მდედრი ჭია წარმოქმნის ლარვებს, რომლებიც გადიან ნაწლავის კედელში, შედიან სისხლის მიმოქცევაში და საბოლოოდ ხვდებიან კუნთებში და სხვა ქსოვილებში. ქსოვილების ინფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს: მაღალი ტემპერატურა, კუნთების ტკივილი და მგრძნობელობის მომატება, ქუთუთოებისა და სახის შეშუპება, სისუსტე, თავის ტკივილი, მგრძნობელობის მომატება სინათლისადმი, კონიუქტივიტი.

ტრიქინელოზის მსუბუქი ფორმის დროს შეიძლება არ გქონდეთ სიმპტომები და არ დაგჭირდეთ სამედიცინო დახმარება. მიმართეთ ექიმს, თუ ღორის ან გარეული ცხოველის ხორცის ჭამიდან დაახლოებით 1 კვირის შემდეგ შეამჩნევთ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს ან კუნთების ტკივილს და შეშუპებას.

# ვიტილიგოზე ოხრახუშის წვენი კარგად მოქმედებს

სხეულზე თეთრი ლაქების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართეთ ექიმ-დერმატოლოგს. ეს შეიძლება სულაც არ იყოს ვიტილიგო, არამედ უბრალო კანის სოკოვანი დაავადება, ზოგჯერ პიტირიაზი. გამოკვლევის და ყველა ანალიზის ჩატარების შემდეგ თქვენ გეტყვიან უფრო ზუსტ დიაგნოზს და დაგინიშნავენ მკურნალობას. თუ დაგიდასტურდებათ ვიტილიგო, მაშინ მოიკრიბეთ მოთმინება. მისი მკურნალობისთვის ზოგჯერ წლებია საჭირო, ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს გამოჯანმრთელების სურვილზე და ექიმების პროფესიონალიზმზე.



ყურადღება მიაქციეთ ულტრაიისფერი დასხივების პროცედურას, ის აღიარებულია ვიტილიგოს მკურნალობის ყველაზე ეფექტურ საშუალებად. მკურნალობის მეთოდი უნდა შეარჩიოს ექიმმა, ხოლო თქვენ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ მისი აზრი. არ დაიწყოთ არავითარი მკურნალობა დანიშნულების გარეშე, ვიტილიგო ძალიან სერიოზული დაავადებაა, რომელსაც შეუძლია პროგრესირება, რის შედეგადაც თქვენი სხეულზე გაჩნდება მოზრდილი ზომის თეთრი ლაქები.

კარგად მოქმედებს ოხრახუშის წვენი, შეიზილეთ იგი კანზე დღეში რამდენჯერმე. შეეცადეთ გამოიყენოთ წითელი თიხა. შეურიეთ იგი ჯანჯაფილის წვენს განსხვავებული პროპორციით და წაისვით კანის დაზიანებულ მონაკვეთებზე. ეს არის თეთრი ლაქების მოსაშორებელი ორი ყველაზე უწყინარი მეთოდი.

მკურნალობის ხალხური მეთოდები უნდა გირჩიოთ ექიმმა, ვინაიდან ყველაფერი დამოკიდებულია დაავადების ხარისხზე და ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

სამკურნალო ბალახებმა შეიძლება მოგიტანოთ არა მარტო სარგებელი, არამედ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას.

# როგორ მოვიშოროთ სიწითლე კანზე

მოერიდეთ ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას, მზეზე, ყინვაში ან სოლარიუმში დიდი ხნით ყოფნას, გამოიყენეთ კანის დამცავი კრემები. თუ კანი დაგეწვათ, დაზიანებულ ადგილზე წაისვით მაწონი, მიიდეთ სახამებელი ან გააკეთეთ მუქი ჩაის, ალოეს წვენის ან გვირილას ნახარშის კომპრესი.



ყურადღება მიაქციეთ კანის მდგომარეობას: დილით და ღამით ხელ-პირი დაიბანეთ თბილი წყლით, საგულდაგულოდ გაიწმინდეთ კანი, გამოიყენეთ ანთების საწინააღმდეგო და კანის დამამშვიდებელი კოსმეტიკური საშუალებები (საცხები, ლოსიონები, კრემები). წაისვით ისინი ფრთხილად, ნაზი შეხებით, კანში შეზელვის გარეშე.

გამოიყენეთ კანის დამამშვიდებელი, დამარბილებელი ნიღბები ან შრატები. აიღეთ 1/2 ჩ/კ პიტნა, 1 ჩ/კ ასკილი და 2 ჩ/კ სალბი დაქუცმაცებული მშრალი ფოთლები. ნედლეულს დაასხით ერთნახევარი ჭიქა ადუღებული წყალი და დატოვეთ ნახევარი საათის, მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში. მიღებული ნაზავი მსუბუქი მოძრაოებით ნაზად მიიცხეთ კანზე. შემდეგ შეახვიეთ ნაზავი მარლაში და მიიდეთ ეს კომპრესი სახეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით და წაისვით კანზე დამარბილებელი კრემი. ასეთი ნიღაბი კარგად შეეფერება მშრალ, გაღიზიანების მიმართ მიდრეკილ კანს.

გულყვითელას ნიღაბი დაამშვიდებს და მოხსნის გაღიზიანებას ცხიმიანი, პრობლემური კანიდან. 1 ს/კ გულყვითელა გახსენით 100გ წყალში. მიღებულ ხსნარში დაასველეთ ბამბა ან მარლა და მიიდეთ სახეზე 15 წუთის განმავლობაში.

თუ თქვენი კაპილარები მუდმივად გაფართოებულია, მოერიდეთ პარაფინის ნიღბებს, ორთქლის აბაზანებს, მასაჟსა და მსგავს სითბურ პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის ცირკულაციის გაზრდასთან.

ყურადღება მიაქციეთ კვებას. მოერიდეთ მჟავე, ცხარე და ცხელ საკვებს, მიიღეთ ნაკლები ალკოჰოლი.

თუ სიწითლე ჩნდება ძალიან ხშირად, ეს შეიძლება იყოს შინაგანი დაავადებების შედეგი. მიმართეთ სპეცილისტებს, ისინი გამოიკვლევენ მიზეზებს და დაგინიშნავენ შესაბამის მკურნალობის კურსს.

# რა უნდა ვჭამოთ დაბალი ჰემოგლობინის დროს

**ჰემოგლობინის დაბალი დონე შეიძლება გამოწვეული იყოს არასწორი კვებით, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვით ან გარკვეული პრეპარატებით მკურნალობის შედეგად. მისი დონის ასაწევად საჭიროა გარკვეული დრო და თქვენი ხელშეწყობა, რათა ეს პროცესი სწრაფად და სტაბილურად წარიმართოს.**



- მიიღეთ რკინის შემცველი პროდუქტები: კვერცხი ცილა, ბარდა, ლობიო, შავი პური, თევზი, ხორცი, ატამი, ვაშლი, ოხრახუში, ქინძი. ასევე მიირთვით B ვიტამინის შემცველი ხილი, ის ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ პროდუქტებიდან მიღებული რკინის ათვისებას. არ დაგავიწყდეთ დღის განმავლობაში მინიმუმ 3 ლიტრი სითხის დალევა!
- მოხარშეთ 1 ჩ/კ ასკილის დაფხვნილი ნაყოფი, 1 ჭიქა წყალში, დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი და ლიმონის წვენი. მიღებული ნაზავი დალიეთ დილით, უზმოზე. უფროსებისათვის აუცილებელია მთლიანი ჭიკის დალევა, ბავშვებისათვის კი 100 მლ. მკურნალობის კურსი უნდა გაგრძელდეს დაახლოებით 30-60 დღე.
- დაფქვით კაკლისა და შტოშის ნაყოფი, დაუმატეთ თაფლი. პროპორცია უნდა იყოს 1:1, მაგრამ შეგიძლია თაფლის რაოდენობის ცოტათი გაზრდა. მიიღეთ 1 ს/კ ნაზავი დღეში სამჯერ, ხოლო ბავშვებს დაალევინეთ დღეში ერთხელ 1 ჩ/კ.
- გამოწურეთ წვენი ახალი სტაფილოსგან, ვაშლისა და ჭარხლისგან, უნდა მიიღოთ დაახლოებით 500 მლ მოცულობის სითხე. დალიეთ იგი ერთი მიღებით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, დალევამდე მიირთვათ 1 ს/კ არაჟანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზმი ვერ მოახერხებს კაროტინის სწორად ათვისებას. იმ შემთხვევაში თუ ბავშვი ვერ მოახერხებს სითხის ერთიანად დალევას, შეგიძლიათ მისცეთ მისი გარკვეული ინტერვალების შემდეგ დალევის უფლება.
- ორი კვირის განმავლობაში, ვახშმიდან რამდენიმე საათის შემდეგ 100 გრ ბროწეულის მარცვალი, 100 გრ ვაშლი და 100 გრ გრეიფრუტი. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ თქვენს „ხილის ასორტს“ დაუმატოთ ცოტაოდენი ნაღები და ყურძენი.

# ასტროპროგნოზი
## 22 ივლისისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, აგრეთვე საქმიან პარტნიორთან არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვაც. **კურო** – სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ, გელით ასევე სასიამოვნო შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა. **ტყუპები** – ჰარმონიული სასიყვარულო ურთიერთობა გაქვთ. დღის მეორე ნახევარში გუნება-განწყობას უსიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი დღეა. კონცენტრაცია საკუთარ თავზე მოახდინეთ. თქვენს ოპტიმიზმს ყველა არ იზიარებს. **ლომი** – იოლად ნურავის მიენდობით, ცრუ დაპირებებს არ დაუჯეროთ. პირად ცხოვრებას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ქალწული** – კარგი პერიოდია პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად, ასევე მოგზაურობისა და ფიზიკური დატვირთვისათვის. **სასწორი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ღრიანკალი** – ყოველგვარი აქტიურობისაგან თავი შეიკავეთ. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. დროა, სამყარო ახლებურად აღიქვათ. **მშვილდოსანი** – უსიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, აგრეთვე საქმიან პარტნიორებთან არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვაც. **მერწყული** – პირად ცხოვრებაში სრული იდილია და ჰარმონია სუფევს. საკუთარი ძალების რწმენაც გემატებათ. **თევზები** – იყავით მიმტევებელი და დამთმობი. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. სინდისის კარნახით იმოქმედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. თოჯინა „ბარბის“ მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. სპეციალური დანიშნულების მატარებელი; 3. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 4. პოპულარული პარკი თბილისში; 8. თამარ მეფის დედის სახელი; 9. ხილის წვენების პიურესაგან მომზადებული ტკბილეული; 11. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 12. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 14. ჯიხვების ჯოგი; 16. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 17. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 19. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 21. კურორტი, ნავსადგური ხორვატიაში.

**თარაზულად**: 5. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 6. ფერწერული ტილო „მედეას“ ავტორი ფრანგი მხატვარი; 7. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 10. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. პათოსით წარმოთქმული სიტყვა; 15. ელექტრონული ძრავის უძრავი ნაწილი; 18. ღვინის ვაჭარი ძველად; 20. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 22. რელიგიური ცენტრი სომხეთში; 23. ფრანგული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია; 24. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ანემია; 2. რთველი; 3. გერგეტი; 4. მეტეორი; 5. „ბაკარდი“; 7. „გუდიარი“; 11. აშარი; 12. ყაურმა; 13. ბოქაული; 14. ხალვაში; 15. მაიამი; 17. მწყერი; 19. აული.

**თარაზულად:** 5. ბურნუთი; 6. „კაბერნე“; 8. ლიდო; 9. ჭერხო; 10. რიშარი; 11. ალბა; 13. ბილინგვა; 14. ხრამი; 16. ომარი; 18. აგავა; 20. შაბლონი; 21. მადრიდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტრიუკი; 2. სვანეთი; 3. ბერგმანი; 4. ტრიგლიტი; 8. გალაქტიკა; 9. კარიატიდა; 11. სომელიე; 12. ცემი; 14. ჯინი; 16. მოთხრობა; 17. „მუკუზანი“; 19. მანილა; 21. „ჩელსი“.

**თარაზულად:** 5. ჰელვეცია; 6. „ხანჯლური“; 7. ბუკმეკერი; 10. სავანა; 13. ხარატი; 15. ამნეზია; 18. ტონიკი; 20. ფადიკო; 22. „შინჰოფერი“; 23. აბრსკილი; 22. ასათიანი.

# ნანი ბრეგვაძე 80 წლისაა



ქართული ესტრადის ყველაზე გამორჩეული მომღერალი ნანი ბრეგვაძე 80 წლისაა. საიუბილეო თარიღი მომღერალს, ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარდა, კოლეგებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა, რიგითმა მსმენელებმა და გულშემატკივრებმა მიულოცეს.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საქართველოს სახალხო არტისტს საიუბილეო თარიღი მიულოცა და ჯანმრთელობა, მხნეობა და სიკეთე უსურვა. პირადად მიულოცა 80 წლის იუბილე ნანი ბრეგვაძეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. ის მომღერალს სახლში ესტუმრა და, საჩუქართან ერთად, საუკეთესო სურვილები გადასცა.

ნანი ბრეგვაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებით 20 აგვისტოს ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში ნანი ბრეგვაძისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება, რითაც მომღერლის საიუბილეო წელი დაიწყება.

# პრესაში პრინც უილიამის ბავშვობის სურათები გამოქვეყნდა



პრესაში პრინც უილიამის ბავშვობის სურათები გამოქვეყნდა

ბრიტანულმა გამოცემა დეილი მეილმა გამოაქვეყნა პრინც უილიამის ბავშვობის ფოტოები, რომლებზეც მასთან ერთად მისი მშობლები – პრინცი ჩარლზი და პრინცესა დიანა არიან აღბეჭდილნი.

პრესაში გამოქვეყნებულ სურათებზე კემბრიჯის ჰერცოგის ასაკი ცხრა თვიდან ხუთ წლამდე მერყეობს. სურათები, კერძოდ, ასახავენ პრინცის პირველ გასეირნებას ცხენით და ასევე მოგზაურობას ავსტრალიაში. მათ შორის ასევეა საგანგებოდ გადაღებული ფოტოსურათები მშობლებთან ერთად და ასევე თამაშის დროს გადაღებული ფოტოებიც.

აღსანიშნავია, რომ როდესაც უილიამი ხუთი წლის იყო, ის პოლიციელობაზე ოცნებობდა, რათა თავისი დედა დაეცვა.

# კოალას სტრიპტიზის ჭოკი მოეწონა



ავსტრალიელმა სტრიპტიზის მოცეკვავე ნიკი ერიქსონმა სახლში დაბრუნების შემდეგ იქ კოალა აღმოაჩინა, რომელიც საცეკვაო ჭოკს იყო ჩახუტებული.

ცხოველი შუა ოთახში იდგა და, როდესაც ადამიანი დაინახა, შეეცადა, ჭოკზე აცოცებულიყო, მაგრამ ამის საშუალება მას ჭოკის პრიალა ზედაპირმა არ მისცა. ერიქსონმა ამ შემთხვევის ვიდეოზე გადაღება მოახერხა. გოგონამ მის სახლში შეპარულ კოალას ლარისა დაარქვა.

ნიკი ერიქსონმა ამის შემდეგ კოალების დახმარების ცენტრის სპეციალისტები გამოიძახა, რომლებმაც ცხოველი დაიჭირეს და მის ჩვეულებრივ ბუნებაში დააბრუნეს. სავარაუდოდ, ლარისა სტრიპტიზიორის სახლში ღიად დარჩენილი კარიდან შევიდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# თემურ ფალავანდიშვილი: „ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს“



რეჟისორმა თემურ ფალავანდიშვილმა ჟურნალისტებისგან გაიგო, რომ მის მიერ 1977 წელს გადაღებული ფილმის „რაჭა, ჩემო სიყვარულო“ რიმეიქის გადაღებებია დაგეგმილი.

რიმეიქის გადაღებას საპარტნიორო ფონდი და მისი თავმჯდომარე დავით საგანელიძე აპირებენ. დავით საგანელიძის თქმით, 1977 წელს გადაღებული ფილმის რიმეიქს საპარტნიორო ფონდი ბრიტანულ-სლოვაკურ საინვესტიციო ფონდთან პარტნიორობით დააფინანსებს.

„რაჭა, ჩემო სიყვარულო 20 წლის შემდეგ“ – ასეთი იქნება ფილმის რიმეიქის სახელწოდება. ფილმის პრემიერა 40 წლის წინ გაიმართა. სულიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით ფილმი რეჟისორებმა თემურ ფალავანდიშვილმა და იოზეფ მედვედმა გადაიღეს.

თემურ ფალავანდიშვილი აცხადებს, რომ მისთვის არავის არაფერი უკითხავს და არც რიმეიქის გადაღების მომხრეა:

– რიმეიქის სახელწოდება „რაჭა, ჩემო სიყვარულო 20 წლის შემდეგ“ ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რადგან ფილმის პრემიერიდან ორჯერ მეტი დრო გავიდა. ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, არავინ დამკავშირებია. არც ჩემთვის და არც სცენარის ავტორის, სულიკო ჟღენტის შვილებისთვის არავის უკითხავს რაიმე.

ჩვენ აუცილებლად ვაპირებთ ამ საკითხის გარკვევას და ვიმსჯელებთ, ღირს თუ არა ამ პროექტის გაგრძელება. დავით საგანელიძეს კარგად ვიცნობ. ის ფაქტი, რომ უჩვენოდ გადაწყვიტა რიმეიქის გადაღება, ცოტა გაუგებარია და მისი მხრიდან არაკომპეტენტურ ნაბიჯად მიმაჩნია. ეს საავტორო უფლებების დარღვევაა და ჩვენ ამ საკითხზეც აუცილებლად ვიმსჯელებთ.

# მანიკა ასათიანის ქმარი დააკავეს და გირაოთი გამოუშვეს



რამდენიმე დღის წინ მოდელ მანიკა ასათიანის კალათბურთელი მეუღლე, საქართველოს ნაკრების წევრი ბექა წივწივაძე დააკავეს.

ის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გადატანის ბრალდებით აიყვანეს. არაოფიციალური ინფორმაციით, ბექა წივწივაძე საქართველოში ჩინეთიდან ჩამოვიდა და ნარკოტიკული საშუალება, ე.წ. ჰაშიში აღმოაჩნდა.

ბექა წივწივაძე ჩინეთში საქართველოს ბე ნაკრებთან ერთად იმყოფებოდა. ვიზიტის ამსახველი ფოტოები მის ფეისბუქის გვერდზეა გავრცელებული. კალათბურთელები საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ.

მანიკა ასათიანის მეუღლე კალათბურთის ეროვნულ ნაკრებს სლოვენიაში უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ის სლოვენიაში არ იმყოფება.

როგორც ამბები ჯის მანიკა ასათიანმა განუცხადა, მის მეუღლესთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება:

– ეს ამბავი მეც გავიგე. არ არის მართალი. ბექა არ დაუკავებიათ სამართალდამცველებს. ახლა ტრავმა აქვს და ამის გამო ვერ მოახერხა ნაკრებთან ერთად გამგზავრება.

მოგვიანებით ბექა წივწივაძის ადვოკატმა მისი კლიენტის დაკავება დაადასტურა.

როგორც ინტერპრესნიუსს ადვოკატმა გიორგი როსტომაშვილმა განუცხადა, მას არ აქვს უფლება, კონკრეტულ დეტალებზე ისაუბროს და ამიტომ გირაოს თანხას ვერ დაასახელებს.

– ვერანაირ ინფორმაციას ვერ მოგცემთ. ერთს გეტყვით, რომ გირაოს საფუძველზე გათავისუფლდა. დანარჩენ დეტალებზე სჯობს, რომ თავად მას დაუკავშირდეთ და, თუ ჩათვლის საჭიროდ, თავად მოგიყვებათ ყველა დეტალს. მე არ მაქვს დელეგირება ჩემის დაცვის ქვეშ მყოფისგან, რომ ვინმეს რაიმე ინფორმაცია მივაწოდო, – განაცხადა გიორგი როსტომაშვილმა.

ბექა წივწივაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლომ 20 ივლისს იმსჯელა. მოსამართლემ მას გირაო შეუფარდა.

შსს-ში ადასტურებენ, რომ აღნიშნული ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ერთი პირი დააკავეს, თუმცა მის ვინაობას არ აკონკრეტებენ:

– აღნიშნული პიროვნება დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით, თუმცა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით მას გირაო შეუფარდა. ამ დროისთვის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

# ხატია ბუნიათიშვილი დააჯილდოვეს



მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალზე მთავარი პრიზით დააჯილდოვეს.

მისი ალბომი „კალეიდოსკოპი“ საუკეთესო ჩანაწერად დასახელდა და ხატიას ექო მიუზიქ ავარდსის მთავარი პრიზი გადაეცა.

ექო მიუზიქ ავარდსის დაჯილდოების ცერემონიალი და მისი პრიზი ქართველი პიანისტისთვის უცხო არ არის. ამ პრესტიჟულ დაჯილდოების ცერემონიალზე ხატია ბუნიათიშვილი და მისი შესრულების გამორჩეული მანერა უკვე მეორედ დასახელდა საუკეთესოდ.

პირველად მან ექო მიუზიქ ავარდსის მთავარი პრიზი 2012 წელს მიიღო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კიმ კარდაშიანმა სელფიში 700 ათასი დოლარი მიიღო



ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა 700 ათასი დოლარი მიიღო იმისთვის, რომ ნიუ იორკის გარეუბან ჰემპტონსში წვეულებას დასწრებოდა და ერთი საათის განმავლობაში ღონისძიების სტუმრებთან სელფებს იღებდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტელევარსკვლავი ღონისძიებაზე დასასწრებად საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრინდა. აღსანიშნავია, რომ კარდაშიანის უსაფრთხოებას 25 პირადი მცველი უზრუნველყოფდა.

კარდაშიანის წარმომადგენლებს აღნიშნულ ინფორმაციაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

მცირე ხნით ადრე ცნობილი გახდა, რომ კარდაშიანმა საკუთარ თავზე ონლაინთამაშით 45 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. *მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# თბილისის ზოოპარკში მატებაა

## თბილისის ზოოპარკში შვლის ნუკრი დაიბადა

ინფორმაციას ამის შესახებ ზოოპარკის ადმინისტრაცია ავრცელებს.

– ცოტა ხნის წინ კეთილშობილ ირმებს, ყვიყვსა და ლეილას, გოგო შეეძინათ. ლამაზია და თვალებმაყვალა (ბევრი იტყვის, ალბათ, ახლა, მაყვალა დაარქვითო). ადამიანს თუ ნამეტნავად დიდი ყურები აქვს, დანანებით აღნიშნავენ ხოლმე კრიტიკოსი წუნიები, გარეგნობით არა უშავს, თეფშებივით ყურები რომ არ ჰქონდესო. აი, ჩვენს პატარაზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით.

ნავის ნიჩბებივით ფარფალა ყურები თითქოს დამატებით სიმსუბუქეს სძენს ისედაც მოხდენილსა და ნარნარას. რაღაცნაირია, დამოუკიდებელი. სულ დედას კი არ დასდევს კუდში, თავისთვისაა, წყნარად და მშვიდად. ერთი გრილი ადგილი აქვს ამოჩემებული ვოლიერში და დღის ცხელ მონაკვეთს ძირითადად იქ ატარებს.

**ნიუსპრესი**

## TV პროგრამა

### ხუთშაბათი 22 ივლისი

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ცოდვა და სირცხვილი"** **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ – გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ ტ/სერ. **"ბორგო ლარიჩის საიდუმლოება"** **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. **"ბეითსების მოტელი"** **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ **"უამრავი საიდუმლო"** (რ.რედფორდი) **01.10** მხ/ფ **"ჯუნგლების ციებ-ცხელება"**

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ახალგაზრდული სული" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ **"იდეალური მამაკაცი"** **16.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **17.30** "გააგრელე საქართველოს ისტორია" **18.30** ტ/სერ. **"სიცრუე"** **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **00.30** მხ/ფ **"მტირალა ბავშვი"** (მ.ჰემინგუეი) **02.05** მხ/ფ **"ოცნების მოედანი"**

**05.00** სერ. **"დახურული სკოლა"** **06.00, 14.40** სერ. **"თანხმობა"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ბამბის ველი"** **11.20** სერ. **"ჟუმონგი"** **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ელიფი"** **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ **"დიდი ოსტატი"** **02.00** მხ/ფ **"ბინდი"** **03.30** მხ/ფ **"იუმას მატარებელი"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"ცხოვრების გზები"** **19.45, 20.05** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.00** დოკ/ფ "გოლოდომორი" შ.მალაშხია **00.30** ელიტ მოდელ ლუქი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები" - მეამბოხეები"** **9.00, 19.30** სერ. **"მენტალისტი"** **10.00, 18.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **11.00, 0.40** სერ. **"გრეის ანატომია"** **13.00, 2.30** სერ. **"ძვლები"** **15.00** შუადღე **17.30** სერ. **"მსახიობი მამა"** **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30** (გამეორება) **21.30** სერ. **"სამეფო კარის თამაშები"** **23.00** მხ/ფ **"რომის და მიშელის სასკოლო შეკრება"**

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "ქრისტეს უკანასკნელი სახვეველი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** მოკ. მხ/ფ **"ფეოლა"** **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** ღვთის სახლი **17.15** მიწათმოქმედი "ჯიშთა გამოცდა" **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **20.40** ძილი ნებისა "ხელმარჯვე ოსტატი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ყოველი სამშვილდე"-პირღებული" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო-პავლეს იერუსალიმში შეპყრობა **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. **"ქალთა ექიმი"** **10.05** სერ. **"ტატიანა"** **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **13.00, 14.05, 2.00** სერ. **"გულს ვერ უბრძანებ"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **16.05, 17.05** სერ. **"კარმელიტა ბოშური ვნება"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. **"ზოგადი თერაპია"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. **"ქალბატონი"** **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. **"სტანიცა"** **23.30** მხ/ფ **"ცდუნება"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.348 |
| ევრო | 2.5861 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0933 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7103 |

## ამინდის პროგნოზი 22 ივლისისთვის








19 ივლისიდან

ჰენრიკ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

22 ივლისიდან

ჰენრიკ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



პატრული პატარა მანქანას აჩერებს და გაოგნდება, ხედავს, მანქანაში 17 მთვრალი კაცი ზის. მან მძღოლი არ დააჯარიმა და მხოლოდ ეს უთხრა:

– არ გაჯარიმებ, უბრალოდ, ხვალე ჩემთან სამსახურში, ყველანი, მხოლოდ ფხიზლები, ასევე ამ მანქანით მოხვალთ.

მეორე დილით მეგობრები შეიკრიბნენ და ცდილობენ მანქანაში მოთავსდნენ, 16-მა მოახერხა ჩაჯდომა, მაგრამ მე-17 ვერ ჯდება. დიდი წვალების შემდეგ ერთ-ერთი ეკითხება:

– იქნებ გუშინ შენ ჩვენთან ერთად არ ყოფილხარ?

– აბა, გუშინ მთელი საღამო გიტარაზე ვინ უკრავდა?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ამ ჩვენ ლევანის რა დაემართა, რაც ცოლი მოიყვანა, ენა ებმება?

– ბიჭო, მაგის სიდედრს კიდევ ორი ტყუპი და ჰყოლია და სამი ერთნაირი სიდედრი რომ დაინახა, ენა დაება.

•••

ცოლმა მეუღლის მიერ სახლში გადამალულ ფულს მიაგნო და სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ეუბნება:

– საიდან ამდენი ფული?

– ამას შენთვის ვაგროვებდი, საჩუქრის საყიდლად.

– მართლა?! რა, ასე ცოტა?

•••

ბანკში შესული კლიენტის საბუთებს ოპერატორი გოგონა ამოწმებს და შენიშნავს, რომ მის გვარში ერთი ასოა გამოტოვებული. გოგონა თავის უფროსს ურეკავს და ეკითხება:

– ბატონია მოსული, ასო აქვს ამოგდებული და მივცე?

– თუ უკვე ამოგდებული აქვს, მიეცი, აბა, რა უნდა ქნა?

•••

სოფლელი ცოლ-ქმარი ოპერაშია. ქმარი ცოლს ეუბნება:

– იმ ქალს რა მაგარი ვოკალი აქვს...

– ვოკალის ყურებას თავი დაანებე და სიმღერას მოუსმინე!

•••

ორმა ახალგაზრდამ ტაქსს ხელი დაუქნია. გადაწყვიტეს, მძღოლი გაეშაყირებინათ და ერთ-ერთი ეკითხება:

– ძია, მანქანა მაინც ცარიელი გაქვს და ნაგავს ვერ წაიღებ?

– რა პრობლემაა, დაეყარენით...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

20 ივლისიდან

ბექა ქურხული

# სამოთხიდან გაქცეულები

სამოთხიდან გაქცეულები ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის მხატვრული რეტროსპექტივაა.

სამი მეგობრის ოდისეა სულისშემძვრელი ამბებით, სევდიანი, ზოგჯერ ტრაგიკული შინაარსით, იმ ეპოქის ფონზე იშლება, რომელიც ბოლომდე ჯერაც ვერ წაიკითხა და გაიაზრა ჩვენმა საზოგადოებამ.




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


# ნიკოლოზ ბასილაშვილი კიტცბუელის ნახევარფინალშია



ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჩეხი ადამ პავლასეკი სამ სეტში დაამარცხა და კიტცბუელის ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. ნიკასთვის ეს პირველი ნახევარფინალია ატპ-ის ტურნირებზე და მან 90 სარეიტინგო ქულა უკვე მოიპოვა.

ბასილაშვილის მომავალი მეტოქეც ცნობილია. ის სერბი ჩოგბურთელი დუშან ლაოვიჩია, რომელიც ამჟამად რეიტინგში 83-ე პოზიციას იკავებს.

ნიკა რეიტინგში 123-ე ადგილზეა, მაგრამ ამ ტურნირის მერე ის უდავოდ წინ წაიწევს. ბასილაშვილი ოლიმპიადაშიც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც აგვისტოს დასაწყისში რიო დე ჟანეიროში დაიწყება.

# მარიო გიოტცე დორტმუნდის ბორუსიაში დაბრუნდა



მარიო გიოტცე თავის ყოფილ გუნდს, დორტმუნდის ბორუსიას დაუბრუნდა. ეს ინფორმაცია თვითონ გიოტცემ დაადასტურა და თქვა, რომ დორტმუნდში დაბრუნებით ბედნიერია.

გიოტცემ ბორუსია 2013 წელს დატოვა და სათამაშოდ მიუნხენის ბაიერნში გადავიდა, თუმცა იქ კარიერის აწყობა ვერ შეძლო.

გიოტცემ ბორუსიასთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ის გუნდში 2020 წლის ჩათვლით ითამაშებს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ის შეეცდება, ყველა გულშემატკივარს დაუმტკიცოს, რომ ჯერ კიდევ შეუძლია ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაში.

# ბაკა თითქმის უკვე ვესტ ჰემის ფეხბურთელია



ინგლისური კლუბის ვესტ ჰემის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მილანის კოლუმბიელი ფორვარდი კარლოს ბაკა შესაძლოა უახლოეს დღეებში ვესტ ჰემის ფეხბურთელი გახდეს.

ინგლისელები ბაკას ტრანსფერში 30 მილიონ ევროს იხდიან და მილანი ამ თანხაზე ყაბულს არის. ჯერი თვითონ ფეხბურთელზეა, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, სურს თუ არა მას მილანის დატოვება და ნისლიან ალბიონზე გადაბარგება.

სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ბაკა ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს.

# ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლოპეტეგი გახდა



ესპანეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა ცნობილია. ის პორტუს ყოფილი დამრიგებელი ხულენ ლოპეტეგია, რომელიც წარსულში ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში.

ლოპეტეგი თავის დროზე ცნობილი ფეხბურთელი იყო და ერთი პერიოდი ბარსელონის ღირსებასაც იცავდა. პორტუში ლოპეტეგი წარმატებულად მუშაობდა, თუმცა ბოლო პერიოდში მისმა გუნდმა არადამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა, რის შემდეგაც ის იანვარში თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ესპანეთის ნაკრების ბოლო მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე იყო, რომელთან ერთადაც ესპანელებმა ორი ევროპისა და ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 2. პარლამენტის ზედა პალატა ზოგიერთ ქვეყანაში; 3. ისტორიული მოედანი პარიზში; 4. ნივრის სუნის მქონე ტყის ბალახი, იყენებენ მწნილად; 5. პატარა ქირურგიული დანა; 7. ტრამვაის მძღოლი; 11. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი; 12. სახალხო დღესასწაული ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 13. გემის მდგრადობის გამაწონასწორებელი ტვირთი; 14. სოფლის შარაგზა; 15. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 17. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 19. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად**: 5. ავადმყოფური მიდრეკილება გადაჭარბებული ლაპარაკისადმი; 6. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს; 8. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 9. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 10. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 11. ბელორუსიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ორი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირი; 14. ზღვის ფრინველი; 16. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. აშშ-ის პრეზიდენტი; 20. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 21. რაიონული ცენტრი იმერეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

